# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 ივლისი პარასკევი 2012 №164 (13 770) ფასი 80 თეთრი


ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა **14** დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტალურგი ტეუტას დააცხრა


ომარ მიგინეიშვილმა ტორპედოს კარი არაერთხელ გადაარჩინა

## მეომარი

ყაზახეთში ქართველთაგან მარტო მიგინეიშვილი ჩანდა



მეტალურგი-ტეუტა 6:1

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ევროპალიგა. საპასუხო მატჩები 2-3

## ფრანგებმა იბრა და სილვა პსჟ-ში გადაიყვანეს

### ეს ამბავი ბერლუსკონიმაც დაადასტურა

ფრანგული სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პსჟ-ს მესვეურებმა პრაქტიკულად მიაღწიეს შეთანხმებას "მილანთან" და გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** პარიზული გუნდის ღირსებას დაიცავს. დაიწერა იმის შესახებაც, რომ იბრას პირადი აგენტი **მინო რაიოლა** უკვე საფრანგეთის დედაქალაქშია და კონტრაქტის ბოლო დეტალებს ათანხმებს. ოფსაიდში არც **ტიაგო სილვა** დარჩა და, იმავე "ეკიპის" ცნობით, 90%-იანი ალბათობით, პარიზს ბრაზილიელი მცველიც მიაშურებს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, მთელი ეს სიამოვნება ფრანგებს 65 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

„მილანს" ოფიციალურად არ დაუდასტურებია ინფორმაცია ვებსაიტზე, მაგრამ იტალიურმა მედიამ სილვიო ბერლუსკონი „სან სიროსთან" გამოიჭირა, სადაც „მილანის" პრეზიდენტმა თქვა, რომ ამით კლუბი 150 მილიონ ევროს დაზოგავს, რაც, ფაქტობრივად, ტრანსფერების დადასტურებაა.

**ლაშა ნიკლაური**


ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიაგო სილვა



## სადაურსა სად წაიყვან

თორნიკე მარკიზს ორლანდოში გადაეჭარა

11

## ქართული ფეხბურთი

ევროპალიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.



გიორგი თექთურმანიძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ახლა პლზენი გამოუშვით

რუსთავის "მეტალურგი" მომდევნო ეტაპზე რომ გავიდოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ თუ ასე გაუადვილდებოდა საქმე, ალბათ ბევრს არ სჯეროდა – რუსთაველებმა მეტოქეს კუდით ქვა ასროლინეს.

სტუმრებს მოძრაობა ძალიან უჭირდათ და "მეტალურგმაც" პირველ რიგში ამაში დაჯაბნა "ტეუტა", ტექნიკასა და ინდივიდუალურ თამაშშიც ზემოდან უყურებდა და, რა გასაკვირია, რომ ორი მატჩის ჯამში 9:1 იმარჯვა.

აქამდე არ მომხდარა, რომ ქართულ გუნდს ევროსარბიელზე ორი მატჩის ჯამში ასე დაეჯაბნა მოწინააღმდეგე.

მატჩის პერიპეტიების დაწვრილებით აღწერა ალბათ აღარ ღირს, თუმცა რამდენიმე ასპექტსა და ეპიზოდზე მაინც შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. **გიორგი თექთურმანიძე** მწვრთნელმა მარჯვენა გარემარბად გაამწესა და არც შემცდარა – "ჩიორა" ცაციაა და ფლანგიდან ბურთი ხეირინად შემოჰქონდა შუისკენ, სწორედ ამის გამოყენებით შეაგდო მან ორივე გოლი – ჯერ **ირაკლი მაისურაძის** გადაცემა დაამუშავა კარგად, მეტოქეს თავგზა აუბნია და ფლანგიდან შორეულ კუთხეში გაახვია ბურთი, შემდეგ გადმოვარდნილ ბურთს შეაგება ლონიერი ცაცია – თექთურმანიძის ეფექტური გოლები იმის მაუწყებელი იყო, რომ "მეტალურგი" "ტეტუტასთან" მეორე შეხვედრასაც უპრობლემოდ ჩაატარებდა.

**დიმიტრი ტატანაშვილმა გიორგი მიქაბერიძის** ფლანგურ გაადცემას ახლოდან, შედეგიანად დაუხვედრა ფეხი. "მეტალურგს" პირველ ტაიმში კიდევ შეეძლო გატანა, თუმცა ოდენ სამი გოლი აკმარა სტუმრებს.

მეორე ტაიმში **რევაზ გენაძემ** ისე მიუჩინა ბურთს ადგილი ბადეში, რომ მანამდე დრიბლინგით დაასხა რეტი რამდენიმე მეტოქეს.

ალბანელებმა კონტრშეტევაზე მოახერხეს ერთი გოლის შეგდება, **ალფრედ დელიალისი გრიგოლ ბედიაშვილთან** პირისპირ დარჩა და შანსი ხელიდან არ გაუშვია. ალბანელებს გოლის გატანის სხვა შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

ტატანაშვილმა **გიორგი ქავთარაძის** მარცხნიდან ჩაწოდებულზე გაიფორმა დუბლი, მოედანი უგოლოდ არც მიქაბერიძემ დატოვა.

დებეჩავებულმა ალბანელებმა თავისი იკითხონ, ჩვენ კი დიდი ინტერესით დაველოდებით "მეტალურგის" შეხლას პლზენის "ვიქტორიასთან" – პირველი მატჩი 19 ივლისს ჩეხეთში გაიმართება, საპასუხო კი 26 ივლისს.

**დავით თავართქილაძე**

12.07. თბილისი. მ. მესხი.
1 500 მაყურებელი

მეტალურგი **6**

ტეუტა **1**

პირველი მატჩი 3:0

1:0 თექთურმანიძე (10), 2:0 თექთურმანიძე (17), 3:0 ტატანაშვილი (35, მიქაბერიძის პასით), 4:0 გენაძე (61), 4:1 დელიალისი (65), 5:1 ტატანაშვილი (70, ქავთარაძის პასით), 6:1 მიქაბერიძე (76)

| მეტალურგი | ტეუტა |
|---|---|
| ბედიაშვილი | რიზვანი |
| ჯაფარიძე | არიანი |
| გ. კვარაცხელია | ოსმანი |
| მახვილაძე | ჯაკუპი |
| რაზმაძე | დასილვა |
| ი. მაისურაძე | რ. ჰოჯა |
| გ. მიქაბერიძე | ველიაი |
| სუხიაშვილი | დელიალისი |
| თექთურმანიძე | დოსტი |
| გენაძე | ნიკა |
| ტატანაშვილი | მანსაკუ |
| მწვრთნელი: კ. ჭორჭიკაშვილი | მწვრთნელი: ჰ. ლიკა |

**მეტალურგი**

46. გ. კვარაცხელია – **გავაშელიშვილი**
46. რაზმაძე – **ქავთარაძე**
55. სუხიაშვილი – **დობროვოლსკი**
*სათადარიგოები: თებიძე, კაკუშაძე, ლობჯანიძე, სიხარულიძე*

**ტეუტა**

38. ველიაი – **ა. ჰოჯა**
46. ლიკა – **პაიზიტი**
57. დოსტი – **დევოლი**
*სათადარიგოები: ჰოხმა, ბაკიასი, კაუშაი*

გაფრთხილება: რაზმაძე (18)
მსაჯი: ვ. ვნუკი (სლოვაკეთი)



დიმიტრი ტატანაშვილმა დუბლი შეასრულა

ალექსანდრე კიტორაშვილის ფოტო

# ისევ აქტობე, ისევ [illegible]

12.07. აქტობე. ცენტრალური.
9000 მაყურებელი

აქტობე **1**

ტორპედო **0**

პირველი მატჩი 1:1

1:0 ბიკმაევი (75)

| აქტობე 4-5-1 | ტორპედო 4-2-3-1 |
|---|---|
| სიდელნიკოვი | მიგინეიშვილი |
| ბადლო | რიგვავა |
| სმაკოვი | გაგიზარდაშვილი |
| პრიმუსი | კვახაძე |
| კენჟისარიევი | გ. გურული |
| ლოგვინენკო | დილმელაშვილი |
| კოვალჩუკი | გ. დათუნაიშვილი |
| ბაიერი | დოლიძე |
| კაპაძე | გოლქვაძე |
| ბაიერი | საბანაძე |
| ბიკმაევი | გოცირიძე |
| მწვრთნელი: ვ. მუხანოვი | მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე |

**აქტობე**

87. ბიკმაევი – **ლისენკოვი**
89. ხაირულინი - **კლიმიავიჩუსი**
90+2. ბაიერი - **ზემლიანუხინი**
*სათადარიგოები: ნარზიკულოვი, დარაბაიევი, გეინრიხი, კუატი*

**ტორპედო**

57. დილმელაშვილი – **ფირცხალავა**
60. დოლიძე - **ე. გრიგალაშვილი**
81. გოცირიძე - **ტულუში**
*სათადარიგოები: ქვილითაია, გიგაური, ზ. ჭელიძე, იოსელიანი*

გაფრთხილება: გურული (78)
არბიტრი: ა. ლიშმანსკი (პოლონეთი)

...ერთი შეხედვით, ქუთაისელებს ხელს არაფერი უშლიდათ - კარგ პირობებში ემზადებიან, კარგი მწვრთნელი ჰყავთ, შემადგენლობასაც არა უშავს, მაგრამ ეს არასაკმარისი გამოდგა.

რეალურად, გამოჩნდა, რომ ქუთაისელებს მაღალი კლასის მოთამაშე არ ჰყავთ, რომელსაც თანაგუნდელების აყოლიება შეუძლია; საპასუხო მატჩში „ტორპედომ" ხეირიანად ვერც იბრძოლა და მხოლოდ სწორი ტაქტიკური სქემა უფრო ძლიერი შემადგენლობის "აქტობესთან" დასაპირისპირებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ყაზახი ფეხბურთელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ და რომ არა ჩვენი მეკარის **ომარ მიგინეიშვილის** მშვენიერი თამაში, გაცილებით დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ. ძალიან კი გვინდოდა ჩვენების გამარჯვება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას – ორივე შეხვედრის ცქერის შემდეგ ცალსახად სათქმელია, რომ "აქტობემ" ჩვენს წარმომადგენელს აჯობა.

მასპინძლები ბურთს აკონტროლებდნენ, ქუთაისელებმა კი ხეირინად კარში ვერც დაარტყეს და უცდიდნენ, როდის დაუშვებდა მეტოქე შეცდომას. ეს ნაღდად არ ჰგავდა **გია გეგუჩაძის** გუნდს.

ყაზახები კი ხშირად არტყამდნენ კარში თუ კარის მიმართულებით, რეალური საგოლე მომენტები ჰქონდათ **ბადლოს, ხაირულინს, კაპაძეს**, ტაიმის მიწურულს კი ერთდროულად სამჯერ გადავრჩით.

მეორე ტაიმიც იმავე სცენარით წარიმართა: პირველი მომენტი ბიკმაევმა შექმნა, შემდეგ **კენჟისარიევმა, ბაიერმა**. მასპინძლებს მონდომება ბოლოს დაუფასდათ, როდესაც უზბეკმა **მარატ ბიკმაევმა** ძლიერად და ზუსტად დაარტყა.



ქუთაისელთა მცდელობა უკბილო და უშედეგო იყო და გულიც უზომოდ დაგვწყდა, რადგან ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის ყაზახებთან წაგება კიდევ ერთხელ გვახსენებს – ჩვენ ჯერ კიდევ ჭაობში ვართ. იმის თქმა, რომ "აქტობე" ძლიერი გუნდია, ვითარებას ვერ გამოასწორებს – ყაზახები ევროპული ფეხბურთის ფსკერზე არიან და მათ სიძლიერეზე ლაპარაკი სასაცილოა.

**მერაბ მამულაშვილი**



გია გეგუჩაძე და ვლადიმერ მუხანოვი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე

ლეგიონი

# ქართველები ევროპალიგაზე

სომხეთში "განძასარმა" საპასუხო მატჩი 2:0 მოუგო ფარერულ "სტეიმურს" და რადგან სტუმრად 1:3 ჰქონდა წაგებული, იქ გატანილის წყალობით შემდეგ ეტაპზე გავიდა. გამარჯვებაში მონაწილეობა არ მიუღია **გიორგი კრასოვკსის**, ჩვენებური სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ლატვიურ "დაუგავას" სტუმრად მოგებული ჰქონდა ლიტვურ "სუდოვასთან" (1:0), მაგრამ შინ 2:3 წააგო და გავარდა. მასპინძელთა შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა **ბიძინა ცინცაძემ, მამუკა ღონღაძე** კი 87-ე წუთზე შემოვიდა.

ბაქოს "ინტერში" ევროთასებზე დებიუტი ჰქონდა მეკარე **რევაზ თევდორაძეს – კახა ცხადაძემ** მთავარი გოლკიპერი **გიორგი ლომაია** დაასვენა – აზერბაიჯანელებმა კი 2:0 მოუგეს ესტონურ "ტრანს ნარვას" (7:0 ორი მატჩის ჯამში). 90 წუთი ითამაშა **ვალერი აბრამიძემ, ბაჩანა ცხადაძე** მამამ მე-60 წუთზე შეცვალა, **გიორგი ადამია** ცხადაძემ 77-ე წუთზე გამოცვალა, **ილია კანდელაკი** სათადარიგო იყო.

**ლევან კორღალიძის** "ზიმბრუც" შემდეგ ეტაპზეა – მოლდოველებმა შინ 2:1 დაამარცხეს "ბანგორი". ქართველი 71-ე წუთზე ჩაება თამაშში.

"ბაქი" სლოვენიურმა "მურამ" გააგდო, აზერბაიჯანელები სტუმრად 0:2 დამარცხდნენ. მათ რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ფოფხაძემ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბაქოს ინტერის ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე (მარცხნივ) ესტონელებთან მატჩისას

ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

19 და 26 ივლისი

პლზენი (ჩეხეთი)-მეტალურგი (საქართველო)

ორჰუსი (დანია)-დილა (საქართველო)

ხაზარი (აზერბაიჯანი)-ლეხი (პოლონეთი)

ესკიშეჰირი (თურქეთი)-სტ. ჯონსტონი (შოტლანდია)

ჰაიდუკი (ხორვატია)-სკონტო (ლატვია)

აიკ (შვედეთი)-ფჰ (ისლანდია)

რენოვა (მაკედონია)-გომელი (ბელარუსი)

ნაფტანი (ბელარუსი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)

ვოივოდინა (სერბეთი)-სუდოვა (ლიტვა)

იიკ (ფინეთი)-ზეტა (ჩერნოგორია)

იანგ ბოიზი (შვეიცარია)-ზიმბრუ (მოლდოვა)

ლოკომოტივი პლ (ბულგარეთი)-ვიტესი (ჰოლანდია)

ტირანა (ალბანეთი)-აალესუნდი (ნორვეგია)

მეტალურგი დონ (უკრაინა)-ჩელიკი (ჩერნოგორია)

მაკაბი ნეთ (ისრაელი)-კუპს (ფინეთი)

მლადა ბოლესლავი (ჩეხეთი)-ტორი (ისლანდია)

ლევადია (ესტონეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი)

მილსამი (მოლდოვა)-აქტობე (ყაზახეთი)

სლავენი (ხორვატია)-პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)

სერვეტი (შვეიცარია)-განძასარი (სომხეთი)

ტვენტე (ჰოლანდია)-ინტერი (ფინეთი)

შალგირისი (ლიტვა)-ადმირა ვაკერი (ავსტრია)

ოსიეკი (ხორვატია)-კალმარი (შვედეთი)

სლოვანი (სლოვაკეთი)-ვიდეოტონი (უნგრეთი)

რაპიდი (რუმინეთი)-მიუკა (ფინეთი)

მურა (სლოვენია)-ცსკა სოფ (ბულგარეთი)

ინტერი (აზერბაიჯანი)-ასტერასი (საბერძნეთი)

გენტი (ბელგია)-დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)

ანჟი (რუსეთი)-ჰონვედი (უნგრეთი)

ლევსკი (ბულგარეთი)-სარაევო (ბოსნია)

მეტალურგსი (ლატვია)-ლეგია (პოლონეთი)

შახტიორი (ბელარუსი)-რიდი (ავსტრია)

ბნეი იეჰუდა (ისრაელი)-შირაქი (სომხეთი)

როსენბორგი (ნორვეგია)-ორდაბასი (ყაზახეთი)

სპარტაკი (სლოვაკეთი)-სლიგო როვერსი (ირლანდია)

დაჩია (მოლდოვა)-ელფსბორგი (შვედეთი)

შიროკი ბრიეგი (ბოსნია)-პატრიკი (ირლანდია)

აპოელ (კვიპროსი)-სენიცა (სლოვაკეთი)

რუხი (პოლონეთი)-მეტალურგი (მაკედონია)

ოლიმპია (სლოვენია)-ტრომსიო (ნორვეგია)

ზესტაფონი



გიორგი ჭიაბრიშვილი

# გუნდი ბიუჯეტის წინააღმდეგ

## გიორგი ჭიაბრიშვილი: დავლაგდით!

საქართველოს ორგზის ჩემპიონი „ზესტაფონი" ავსტრიული შეკრებიდან დაბრუნდა და იქაურ პერიპეტიებზე სასაუბროდ გუნდის მთავარ მწვრთნელს, გიორგი ჭიაბრიშვილს მივმართეთ.

„ზესტაფონი" დამდეგ სეზონში გადასხვაფერებული იქნება და ცხადია, საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს. მომავალ კვირაში გუნდს უკვე ძალიან სერიოზული გამოცდა ელის: ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე სტუმრად აზერბაიჯანის ჩემპიონს, ბაქოს „ნეფთჩის" ეთამაშება.

- ავსტრიაში ძალიან კარგი შეკრება გავიარეთ, საკმაოდ ძლიერ სპარინგ-მეტოქეებს ვეთამაშეთ, იდეალურ პირობებში ვიყავით, ამინდებმაც ხელი შეგვიწყო. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ. ასე ვთქვათ, გუნდის დალაგება მოვახერხეთ, გარკვეული სახე მივიღეთ.

**- ბოლო წინადადებაში კონკრეტულად რას გულისხმობდით?**

- ყველაფერი შედარებითია. მოგეხსენებათ, „ზესტაფონი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და გუნდი მათი წასვლის შემდეგ დასაბალანსებელი იყო, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა გვიწევს. თედო გრიგალაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, სამუშია, გუგუჩია, სარდალიშვილი - გამოჩნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ პირველ გუნდში რიგიანად თამაში შეუძლიათ.

**- „ზესტაფონი" დატოვა გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა შოთა გრიგალაშვილმა - ვინ იქნება მისი შემცვლელი?**

- ამ ფეხბურთელის წასვლის შემდეგ სხვანაირი სისტემით მოგვიწევს თამაში, ძნელია, უცბად მოძებნო ზუსტად ისეთი მოთამაშე, როგორიც შოთა გრიგალაშვილია. არიან ფეხბურთელები, რომელთა იდენტურად შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია, რომ ყველაფერი უკეთესად შეიცვალოს. შუახაზში გვყავს სამუშია და გუგუჩია. თუ მაინცდამაინც შემცვლელზე მიდგა საქმე, შოთა გრიგალაშვილის მაგივრად ლევან შარიქაძე დადგება.

**- უფრო რომელ განლაგებას დაეყრდობით: 4-4-2 თუ 4-3-3 ?**

- თუ გახსოვთ, ბოლო დროს „ზესტაფონი" 4-4-2 სქემით თამაშობდა და უფრო ამ ვარიანტს დავეყრდობით.

**- შეტევაში ჯაბა დვალისა და ოვონიკოს დუეტს თუ აირჩევთ, დავით მუჯირის ადგილს სად ხედავთ?**

- მუჯირს უფრო თავდამსხმელად მოვიაზრებ, ვიდრე შუახაზის მოთამაშედ, ვისაც სპეციფიური ფუნქციები უნდა დაეკისროს. თავდამსხმელებსა და ნახევარმცველებს შორის მოქმედი შემტევი - ეს არის მუჯირის პოზიცია.

**- თუ ჯაბა დვალი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპების შემდეგ „ზესტაფონს" დატოვებს, გუნდს სერიოზული სიცარიელე არ შეექმნება?**

- ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ ევროსარბიელზე ვფიქრობთ. ისე კი, ვისაც წასვლა უნდა, კლუბი ხელს არ შეუშლის. თუ ფეხბურთელი უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გადავა და ეს „ზესტაფონისთვისაც" სარფიანი იქნება, შესაძლებელი გახდება, რომ ფეხბურთელი დავთმოთ. „ზესტაფონისთვის" დიდი ძალა იყო ნიკა გელაშვილი, მაგრამ გამოჩნდა ხელსაყრელი ვარიანტი და ისიც სხვაგან გადავიდა. გელაშვილის შემცვლელად, მისი თამაშის მანერიდან გამომდინარე, ოვონიკოკო გვყავს.

**- „ზესტაფონი" დაცვის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ონიანმაც დატოვა. მის შემცვლელად გიორგი კაჭკაჭიშვილს მიიჩნევთ?**

- კაჭკაჭიშვილი ძალიან კარგი მცველია, დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა შეკრებაზე გვიან შემოგვიერთდა და ჯერ არ არის ოპტიმალურ ფორმაში, რის გამოც ფორსირებულად ვამზადებთ სეზონის დაწყებისთვის.

**- „ნეფთჩისთან" მისი მოედანზე გასვლა ნაკლებად სავარაუდოა?**

- მასეა, კაჭკაჭიშვილს „ნეფთჩისთან" თამაშის მცირე შანსი აქვს. საჯაია, თედო გრიგალაშვილი, კობახიძე და კაჭკაჭიშვილი - დაცვის ცენტრისთვის ეს ფეხბურთელები არიან „ზესტაფონის" განკარგულებაში.

**- „ნეფთჩიც" ავსტრიაში იყო შეკრებაზე - გქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონის საკონტროლო მატჩებს დასწრებოდით?**

- ავსტრიაში „ნეფთჩის" ორ მატჩს დავესწარი, აზერბაიჯანელები კი „ზესტაფონის" სამ თამაშზე იყვნენ მოსულები.

**- და რა შთაბეჭდილება დატოვა „ნეფთჩიმ" ავსტრიაში?**

- მეკარეს და დაცვას თუ არ ჩავთვლით, ბაქოელებს წინა სეზონთან შედარებით ახალი გუნდი ჰყავთ. „ნეფთჩი" მაღალბიუჯეტიან გუნდს ჰგავს, ბევრი ლეგიონერი ჰყავს, შეტევაში დიდი პოტენციალი აქვს, ასეთ მეტოქესთან ჩვენც გვაქვს გარკვეული უპირატესობა - ჩვენ, ასე ვთქვათ, უფრო გუნდი ვართ, გუნდურობა ჩვენი ძლიერი მხარეა, ამაზე „ზესტაფონს" წლობით უმუშავია, „ნეფთჩის" კი ამის გაკეთება მოკლე დროში გაუჭირდება. ჩვენსა და „ნეფთჩის" შორის კლასში სხვაობას ვერ ვხედავ, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებიც თანაბარია, თუმცა ჩვენ საქართველოს ჩემპიონი ვართ და საქართველოს ჩემპიონს აზერბაიჯანის ჩემპიონთან მოგება მართებს...

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# ხიზანეიშვილი დაბრუნდა

"ლელო" ორიოდე დღის წინ წერდა, რომ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობა წინა სეზონის შემდეგ გუნდიდან გაშვებული **ოთარ ხიზანეიშვილის** დაბრუნებაზე ფიქრობდა.

გუშინ კი გუნდის ოფიციალურმა ვებგვერდმა ინფორმაცია დაადასტურა: "გასული სეზონის მეორე ნახევრის განახლებამდე, რვაწლიანი პაუზის შემდეგ, ოთარ ხიზანეიშვილი თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა. 30 წლის მცველი გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაფორმდა. სეზონის დასრულების შემდეგ კი კლუბსა და ფეხბურთელს შორის ახალი შეთანხმება შედგა. შეგახსენებთ, რომ ოთარი "დინამოში" 1998–2000 წლებში და 2002–2004 წლებში თამაშობდა, გასულ სეზონში დაბრუნებულმა კი 10 მატჩი ჩაატარა".

კომენტარი თავად ოთარ ხიზანეიშვილმა გააფორმა: *"მოხარული ვარ, კვლავ "დინამოში" რომ ვარ. საქართველოში სხვა გუნდში არც მითამაშია – ეს ჩემი ოჯახია. კლუბთან არსებული კონტრაქტი სეზონის ბოლოს დასრულდა, ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე კი გარკვეული დრო იყო საჭირო. ამ პერიოდში სხვა გუნდებმაც გამოიჩინეს ინტერესი, რა თქმა უნდა, "დინამოში" მერჩივნა. ეს გარემო ჩემთვის კარგადაა ნაცნობი – დილმის ბაზა, მშობლიური სტადიონი – აქ ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია. მოხარული ვარ, რომ კვლავ „დინამოს" მაისურით მომიწევს თამაში. სულს და გულს ჩავდებ თითოეულ მატჩში და ვეცდები „დინამოს" წარმატებაში საკუთარი წვლილი შევიტანო".*

**მერაბ მამულაშვილი**



ოთარ ხიზანეიშვილი

ლეგიონერი

# ყაზაიშვილმა ლამაზი გოლი მიითვალა

არნემის "ვიტესი" სეზონისთვის და ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პლოვდივის "ლოკომოტივთან" დაპირისპირებისთვის ემზადება.

გუნდი საკონტროლო შეხვედრებს ლამის ყოველ მესამე დღეს ატარებს. ბოლო შეხვედრაში არნემელებმა ჰოლანდიის ქვედალიგელი "დე ვალკსი" 11:0 დაამარცხეს.

მე-8 გოლი "ვიტესმა" **გიორგი ჭანტურიას** გარღვევის შემდეგ გაიტანა, **ვაკო ყაზაიშვილმა** კი მე-9 გაიტანა და ძალზედ ეფექტურადაც: საჯარიმოში სამი მცველი ჩამოიცილა და მეკარეს შორეულ კუთხეში დაურტყა.

მცირე ტრავმის მიუხედავად ითამაშა არნემელთა კაპიტანმა **გურამ კაშიამ**, რომელიც 68-ე შეცვალეს. ჭანტურია მოედანზე შესვენების მერე გამოჩნდა, ყაზაიშვილი - 62-ე წუთზე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ლაშა თოთაძე

# მწვრთნელს თოთაძის დატოვება სურს

**უნგრული „დიორი ეტოს“** შემადგენლობაში მეხუთე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა **ლაშა თოთაძემ**. უნგრელებმა მორიგ ტესტ-მატჩში რუსულ პრემიერლიგაში გადასულ სარანსკის "მორდოვიასთან" 1:0 გაიმარჯვეს.

22 წლის მარცხენა მცველმა ძირითადში ითამაშა და მე-80 წუთზე შეცვალეს. ლაშა თოთაძე მოედანზე მყოფი ერთადერთი ქართველი გახლდათ: **რატი ალექსიძეს** ტრავმა აწუხებს, შარშან უნგრულ "ზალაეგერშეგში" განათხოვრებიული **გიორგი განუგრავა** კი ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო არ თამაშობს.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თოთაძეს ისრაელისა და კვიპროსის კლუბები იწვევდნენ. თუმცა, სავარაუდოდ, ლაშა "დიორში" დარჩება.

როგორც ფეხბურთელმა გვითხრა, „დიორის“ მთავარმა მწვრთნელმა **ატილა პინტერმა** საკუთარი და კლუბის პრეზიდენტის შეთავაზება გააცნო – ორივე მისი დარჩენით იყვნენ დაინტერესებულები და როდესაც კლუბის ასეთი დამოკიდებულებაა, ფეხბურთელიც, ცხადია, სხვაგან წასვლაზე აღარ იფიქრებს.

ფუტსალი

# იბერიას ცნობილი ბრაზილიელი განვრთნის

## სერჟიო ბენატი: მოხარული ვარ იბერიას შემოთავაზებით



სერჟიო ბენატი

**"იბერია სტარს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს: ფუტსალში საქართველოს ჩემპიონს ამიერიდან 47 წლის ბრაზილიელი სპეციალისტი სერჟიო ბენატი გაწვრთნის.**

ფეხბურთელობისას ბენატის უმაღლესი მიღწევა მსოფლიოს ჩემპიონობა იყო. 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიამ მასპინძელი ჰოლანდია 2:1 რომ დაამარცხა, გამარჯვების გოლი სწორედ ბენატიმ გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა!

მწვრთნელის პოსტზე მას უმუშავია იტალიურ "მარკასა" და რუსულ ნორილსკის "ნიკელში". შეგახსენებთ, რომ აქამდე "იბერიას" ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი **ოლეგ სოლოდოვოიკი** ავარჯიშებდა, რითაც საქართველოს ჩემპიონის ხელმძღვანელობა სამართლიანად ამაყობდა.

მაგრამ ბრაზილიელი სულ სხვა რანგის სპეციალისტია – მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბენატის უდიდესი მიღწევა 2005 წელს ფუტსალის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იყო. მან ეს ტიტული არა რომელიმე ევროპულ გრანდში ("ბენფიკაში", "სპორტინგში", "ბარსელონაში"), არამედ, მოკრძალებულ ბელგიურ "შარლერუაში" მუშაობის დროს მოიპოვა.

სწორედ ამის შემდეგ დაასახელა ფიფამ მსოფლიოს სამ საუკეთესო მწვრთნელს შორის. საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი დარჯანია** ამბობს: *"ასეთი რანგის მწვრთნელი საქართველოში ჯერ არც ერთ სახეობაში არ გვყოლია. ბენატიმ ფუტსალში მიაღწია მწვერვალებს როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება კლასიკურ ფეხბურთში ასევე ბრაზილიელი, ლეგენდარული მწვრთნელი მარიო ზაგალო იყო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა როგორც მოთამაშე და როგორც მწვრთნელი. დიდი ფეხბურთელი იყო კრუიფი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი ვერც ერთ რანგში ვერ გახდა. ბენატიმ კი ეს ფუტსალში შეძლო. ასე რომ, მისი ჩამოყვანა უზომოდ მახარებს და მაიმედებს, რომ "იბერია სტარი", რომელიც დღეს უკვე ევროპის მოწინავე გუნდებს შორის არის, გაცილებით მაღალ დონეზე ათამაშდება".*

გუშინ ბრაზილიელმა სპეციალისტთან დაკავშირება მოვახერხეთ და მცირე კომენტარი ჩამოვართვით. მაშ ასე, რამ გადააწყვეტინა საქართველოში მუშაობა და რა იმედებით მოდის გუნდში?

*"ახლა კი იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან მოხარული ვარ "იბერიას" შემოთავაზებითა და ამ გუნდში მუშაობის პერსპექტივით. შემოთავაზებამდეც ვიცოდი, რომ ძალიან საინტერესო გუნდი იყო. იმედია, ჩვენ ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ. საქართველოში 15 ივლისს ჩამოვდივარ და ამ ყველაფერზე უფრო ვრცლად თბილისში ვილაპარაკოთ"*, – გვითხრა ბენატიმ.

# დევდარიანი დაბრუნდა

**დანიის სუპერლიგისა და ევროპის ლიგის მატჩებამდე გორის "დილას" მეტოქემ "ორჰუსმა" ბოლო საკონტროლო შეხვედრა დანიურ "ოდენსესთან" 0:0 ითამაშა.**

**ცხრათვიანი შესვენების შემდეგ, ამ მატჩში საქართველოს ნაკრების კანდიდატმა დავით დევდარიანმა კვლავ მოირგო გუნდის ფორმა. "ორჰუსის" ვებგვერდმა 24 წლის ქართველ ნახევარმცველს ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც გთავაზობთ.**



დავით დევდარიანი

"დავით დევდარიანი მზად არის, გუნდს დაეხმაროს და 13 ივლისს სუპერლიგის პირველ ტურში ითამაშოს.

ქართველი ფეხბურთელი მოედანს ორშაბათს დაუბრუნდა და "ოდენსესთან" ტესტ-მატჩში მეორე ტაიმი ითამაშა.

დევდარიანი ამბობს, რომ სათამაშოდ მზად არის: *"ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით, ესეც ნორმალურია და მოხარული ვარ, მოედანს რომ დავუბრუნდი. ისევ გუნდის ნაწილი ვარ და ისევ ვვარჯიშობ. ცხრა თვე რომ გაგიცდება, ამის შემდეგ ესეც სასიხარულო ამბავია. ტრავმის გამო გაცდენილი დრო ძალიან მოსაწყენი აღმოჩნდა. ფეხბურთელისთვის ყველაზე მძიმე ხომ უთამაშებლობაა. იმედგაცრუებული ვიყავი, მაგრამ ამან სწრაფად გამიარა".*

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშობს, დევდარიანმა სწრაფად მოახერხა ოპტიმალური კონდიციების აღდგენა და ტესტ-მატჩშიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა: *"თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში სრული დატვირთვით ვემზადებოდი. სიძნელეების დაძლევის გარეშე, ძველებურ დონეზე თამაში შეუძლებელიც იქნებოდა".*

ქართველი ნახევარმცველი ჯერ მზად არ არის, 90 წუთი რომ ითამაშოს, მაგრამ იმედოვნებს, რომ 13 ივლისს "ოლბორგთან" სეზონის პირველ შეხვედრაში გუნდს დაეხმარება: *"100 პროცენტით მზად არ ვარ, შეხვედრა შეუცვლელად რომ ჩავატარო. მაგრამ სასურველ ფორმას ვუახლოვდები. ახლა 45 წუთი ვითამაშე და ესეც კარგი იყო. ვფიქრობ, სუპერლიგის რამდენიმე ტურის შემდეგ სრულ მზადყოფნაში ვიქნები. მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ინტენსიურად ვითამაშებ".*

დინამო



გიორგი მერებაშვილი

# იმედიანი განწყობა

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი დავით ხოჭოლავა თბილისის "დინამოს" ესპანურ შეკრებაზე დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა. 19 წლის მცველს ექვსი თვე გაუცდა და ამის გამო ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდის მატჩები გამოტოვა.**

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, ხოჭოლავამ რამდენიმე დღის წინ ინდივიდუალური ვარჯიში განაახლა.

*"მსუბუქი ტრავმა დეკემბრის ბოლოს მივიღე, ესპანურ შეკრებაზე კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი. კოჭი მქონდა მოტეხილი, იოგები კი - გაწყვეტილი. კლუბმა საოპერაციოდ გერმანიაში ცნობილ ექიმთან, თომას ფრიულიხთან გამაგზავნა. რეაბილიტაციის ორკვირიანი პერიოდიც გერმანიაში გავატარე.*

*ტრავმა უკვე მოვიშუშე, ტკივილებიც აღარ მაწუხებს, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და იმედია, სექტემბრიდან თამაშს მოვახერხებ. მოედანზე გასვლა ძალიან მომენატრა. ჩვენ წინაშე კი ახალი მწვრთნელი და ახალი მიზნებია. გასულ სეზონში ნაჩვენები არასახარბიელო შედეგი წელს აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ და სატურნირო ცხრილში "დინამოსთვის" სეზონი ჩვეულ პოზიციაზე უნდა დავასრულოთ"*, - ამბობს ხოჭოლავა.

ბაკურიანულ შეკრებაზე მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ყურადღება ფიზიკურ დატვირთვებს დაუთმო, ტაქტიკური დავალებების შესრულებაზე მუშაობა კი ჯერ არ დაუწყია. 15 ივლისს გუნდი სლოვენიაში გაემგზავრება, იქ კი უშუალოდ სათამაშო სქემის დამუშავება–დახვეწაზე იქნება აქცენტი გაკეთებული.

*"გასულ სეზონში დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე არასახარბიელო სეზონი ჩავატარეთ. "დინამოს" მაისურით ვითამაშებ თუ არა, გუნდის წარმატება ყოველთვის მახარებს და დიდი იმედებით დავბრუნდი, თუმცა სეზონი ჩაგვივარდა. ახლა კი ახალი სეზონისთვის ვემზადებით. გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო და კარგი განწყობილებაა. ამას ემატება უდიდესი მოტივაცია, ჩვენ ტრადიციულად უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.*

*... "დინამოში" დაბრუნებულს რადიკალურად შეცვლილი სურათი დამხვდა. ახლა ისეთი პირობებია შექმნილი, ბევრი საშუალო ევროპული დონის გუნდი ინატრებს. ასეთი ბაზით ბევრი გრანდიც დაიტრაბახებს.*

*... ფეხბურთელს სავარჯიშოდ კარგი საფარი სჭირდება. უამისოდ წარმატებაზე ვერ იფიქრებ. ეს იგივეა, მოჭიდავემ ტატამის ნაცვლად ასფალტზე ივარჯიშოს. ჩვენს სტადიონზე და ბაზაზე კი იდეალური საფარია, რაც დამუშავებული კომბინაციების შესრულებას და ხარისხიანი ფეხბურთის ჩვენებას გაგვიადვილებს.*

*გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობ. ფეხბურთელებმა საკუთარ თავს კიდევ უფრო მეტი უნდა მოვთხოვოთ და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზეც.*

*... ახალ სეზონში მთავარ კონკურენტად გასულ ჩემპიონატში სამეულში შესულ გუნდებსა და გორის "დილას" მივიჩნევ. ვფიქრობ წლევანდელი ჩემპიონატი ბევრად უფრო საინტერესო და სანახაობრივი იქნება, ვიდრე გასული იყო"* – იმედიანად არის ტრავმამოშუშებული **გიორგი მერებაშვილი.**

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



დავით ხოჭოლავა

ვოლფსბურგი

# ჰოლანდიელი გოლეადორის მისია გერმანიაში

## უნდა დაუჯეროს ფელიქს მაგათს და ის მისგან ახალ ედინ ჯეკოს გამოძერწავს


32 გოლი 34 მატჩში – ბას დოსტზე ვოლფსბურგში უდიდეს იმედებს ამყარებენ

**ბას დოსტი** – შესაძლოა, ეს სახელი და გვარი ბევრს ჯერ კიდევ არ ეცნობა. არადა, წესით ყველას უნდა ეცნობოდეს, რადგან 23 წლის დოსტი ის კაცია, ვინც ჰოლანდიის ჩემპიონატის 34 მატჩში 32 (!) გოლი გაიტანა. ჰოლანდიაში ზოგადად ბევრი გოლი გადის და ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან, თავდამსხმელებს ყველაზე მეტად სწორედ იქ უადვილდებათ ხოლმე თავიანთი ბომბარდირული ნიჭის გამოვლენა, მაგრამ 34 მატჩში 32 გოლი მაინც ნამეტანია და თამამად უნდა ვთქვათ, რომ დოსტი უკვე თანამედროეობის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ გოლეადორად მიიჩნევა. სწორედ ამიტომ გადაიხადა გერმანულმა „ვოლფსბურგმა" მასში ამაყად 7 მილიონი ევრო და ბასიც „ჰერენვენიდან" „ფოლკსვაგენის" ქალაქში გადაბარგდა, სადაც თვით **ფელიქს მაგათის** ხელში მოუწევს ოფლის ღვრა.

როცა დოსტზე ჩამოუგდებენ ხოლმე სიტყვას, მაგათი საუბარს ყოველთვის ერთსა და იმავე წინადადებით იწყებს - მას პირველივე სეზონში სასწაულებს ნუ მოვთხოვთო. ფელიქსი მომთმენი და მომლოდინე, კარგი ნებისყოფის მქონე სპეციალისტია და მართალია, ზუსტად იცის, რომ დოსტს პირველივე სეზონში შეუძლია უამრავი გოლის გატანა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც თადარიგს იჭერს – ვაითუ ჰოლანდიელს ბუნდესლიგასთან შეგუების პროცესი გაუგრძელდეს.

თავად ბასი, როცა კი საშუალება მიეცემა, სულ ერთსა და იმავე წინადადებას იმეორებს: *„ფელიქს მაგათის ვარჯიშებზე ლეგენდები დადის და ვიცოდი, რაც მელოდა,* - ამბობს „ვოლფსბურგის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში იმას, რაც ფელიქსის ყველა შეგირდს უთქვამს, - *მაგრამ ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, თუ მისი ვარჯიშები ასეთი მძიმე იქნებოდა."*

### მაგათი: ვაცადოთ ამ ბიჭს

გასული სეზონის მიწურულს დოსტმა დაამტკიცა, რომ არა მარტო ნიჭიერი და ალღოიანი ფორვარდია, არამედ მონდომებითაც გამოირჩევა: სეზონის მიწურულს ფაქტობრივად ტრავმირებული თამაშობდა, რათა „ჰერენვენი" ევროპალიგაში გაეყვანა. ვოლფსბურგში კი, როგორც თავად ამბობს, მოტივაცია გაუსამაგდა, თუმცა მაინც ამას ამბობს: *„ჯერ გერმანიას და აქაურ ფეხბურთს უნდა შევეჩვიო. პირველი კვირა მართლაც ჯოჯოხეთურად მძიმე იყო, ახლა კი თავს უკეთ ვგრძნობ და ისე აღარ მიჭირს, როგორც პირველ დღეებში. მერე ბუნდესლიგა დაიწყება და იმედია, აქაურობას ალღოს აქაურობას მალე ავუღებ, თუმცა კარგად მესმის, რომ შესაძლოა, ადაპტაციის პროცესი გამიგრძელდეს."*

*„ბასი უნიჭიერესი ფეხბურთელია და ამ ეტაპზე მას აღარაფერი აქვს დასამტკიცებელი. მე მას არ ვაჩქარებ, წნეხის ქვეშ არ ვაქცევ და კარგი იქნება, თუ „ვოლფსბურგის" ფანებიც ადროვებენ და არ გაუჯავრდებიან, თუ პირველივე ტურებში გოლებს ვერ გაიტანს,"* - აცხადებს მაგათი.

ბას დოსტისთვის მისაბაძი მაგალითი **როი მაკაია**, რომელმაც ბუნდესლიგაში გადასვლისთანავე (2003/04) დაიწყო გოლების გატანა და პირველსავე სეზონში 23 გოლის გატანა მოახერხა, თუმცა მაკაი გერმანიაში არა ჰოლანდიიდან, არამედ ესპანეთიდან, ჩამოყალიბებული, შემდგარი გოლეადორის სტატუსით გადავიდა და თანაც უკვე 28 წლის იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი და დოსტის შედარება ამ კონტექსტში უადგილოა.

ვერდერი. მოსალოდნელი ტრანსფერი



ჯამპაოლო პაცინი შეიძლება ვერდერში გადავიდეს

მას მერე, რაც „ვერდერმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო, ბრემენული კლუბის სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** და მთავარ მწვრთნელ **თომას შაафს** სახეებზე ყველა ვარჯიშზე კმაყოფილება აწერიათ. ეს ფაქტი იმიტომაა აღსანიშნავი, რომ ორი წელია, „ვერდერი" ფანებს იმედებს უცრუებს, რის გამოც ალოფსს და შაафს ყველა კადრსა თუ ფოტოზე სახეები ჩამოსტიროდათ.

გასულ სეზონში „მუსიკოსებმა" მე-9 ადგილი დაიკავეს, რაც ამბიციური „ვერდერისთვის" შეურაცხმყოფელი შედეგია და რაკი ევროპალიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვეს, არც ფული ჰქონდათ იმისათვის, რომ გუნდი გაეძლიერებინათ. თუმცა მერე საიდანღაც „გამოტყვრა" „ჩელსი" და „ვერდერს" **მარკო მარინში** 10 მილიონი ევრო გადაუხადა. გუნდი დატოვეს ისეთმა მაღალანაზღაურებადმა ფეხბურთელებმაც, როგორებიც იყვნენ **მარკუს როზენბერგი** (უკლუბოდაა), **კლაუდიო პისარო** („ბაიერნშია"), **ტიმ ბოროვსკი** (უკლუბოდაა) და **ტიმ ვიზე** („ჰოფენჰაიმში" გადავიდა). შესაბამისად, ალოფსს და შაафს ახალი ფეხბურთელებისთვის ფული გამოუთავისუფლდათ.

„ვერდერმა" უკვე რამდენიმე ტრანსფერი სრულყო და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე წელია, ალოფსს და შაафს ასე აქტიურად არ უვაჭრიათ: დაცვის ხაზი დიუსელდორფის „ფორტუნას" დაცვის ბურჯით, **ასანი ლუკიმიათი** და ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველით, ჩეხი **თეოდორ გებრე სელასიეთი** გააძლიერეს, თავდასხმა - ექსბაიერნელი **ნილს პეტერსენით**, ხოლო ორიოდე დღის წინ, „ვერდერმა" „იუვენტუსიდან" ჰოლანდიელი გარემარბი **ელჯერო ელიაც** (5.5 მილიონად) გადაიბირა.

### თავდასხმაში მაინც სიცარიელეა

ეს უკვე საკმაოდ ხმაურიანი ტრანსფერებია, თუმცა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვერდერი" ამით არ კმაყოფილდება. შაафი თავდასხმით მაინც უკმაყოფილოა, რადგან გუნდი ორმა ფორვარდმა (პისარო, როზენბერგი) დატოვა, ახალწვეულთაგან კი თავდამსხმელი ერთია (პეტერსენი). გერმანული მედიის ინფორმაციით, ალოფსი და შაафი მილანის „ინტერის" 27 წლის თავდამსხმელ **ჯამპაოლო პაცინის** უმიზნებენ.

„ბილდის" ცნობით, ბრემენელებმა უკვე მიმართეს „ინტერის" ხელმძღვანელებს და 27 წლის იტალიელი ფორვარდის ერთწლიან არენდაზე ჩამოუგდეს სიტყვა. ცნობილია, რომ ბრემენში გადასვლის პერსპექტივით თავად პაცინიც დაინტერესებულია, რადგან თავდამსხმელი, რომელსაც ბოლო დროს იტალიის ნაკრებში აღარ იძახებენ, ისე კი „სკუადრა აძურაში" 24 მატჩი აქვს ჩატარებული, „ინტერს" აღარ სჭირდება.

*„ვერდერი" საკმაოდ საინტერესო ვარიანტია. ბუნდესლიგა მომწონს – იქ ყოველთვის სავსე სტადიონები და შესანიშნავი საფეხბურთო ატმოსფეროა,"* - უთქვამს პაცინის „კორიერე დელო სპორტისთვის". თუმცა იტალიური პრესა იმასაც წერს, რომ პაცინის გადაბირება „იუვენტუსს" და პსჟ-საც სურთ.

შეგახსენებთ, რომ „ვერდერს" წინა ხაზისთვის **სანდრო ვაგნერი** და **დენი ავდიჩიც** ჰყავს, მაგრამ შაафი ამ ფეხბურთელებში პოტენციალს ველარ ხედავს. ვაგნერი, შესაძლოა, ბერლინის „ჰერტაში" გადავიდეს, ავდიჩს კი ალბათ გაანათხოვრებენ. დაბოლოს: ბრემენელები პაცინიზე მას მერე ოცნებობენ, რაც მან „სამპდორიას" ფორმით ბრემენელებს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი გოლი გაუტანა...

სამწუხარო ამბავი


ჯო მაკბრაიდს სელტიკის ფორმით 94 მატჩში 86 გოლი აქვს გატანილი

# შოტლანდიური ფეხბურთის ლეგენდა გარდაიცვალა

შოტლანდიის ნაკრებისა და გლაზგოს „სელტიკის" ლეგენდარული ფეხბურთელი **ჯო მაკბრაიდი** 74 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა. კარიერის საუკეთესო პერიოდი მისთვის 1965-1968 წლები იყო, როცა „სელტიკის" ფორმით 94 მატჩში 86 გოლის გატანა მოახერხა, 1967 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.

*„ჯო ნამდვილი ჯენტლმენი იყო. მან „სელტიკს" ათწლეულები შეალია. ჯო ძალიან დაგვაკლდება,"* - ნათქვამია „სელტიკის" შეფის, **პიტერ ლოველის** ოფიციალურ განცხადებაში.

მაკბრაიდმა კარიერა 1957 წელს, „კილმარნოკში" დაიწყო, საიდანაც 1959 წელს ინგლისურ „ვულვერჰემპტონში" 12 500 ფუნტად გაიყიდა. „ვულვზში" მას არცერთი მატჩი არ ჩაუტარებია და იმავე წელს „ლუთონში" გადაბარგდა, საიდანაც ჯერ „პატრიკ თაისტლში", მერე კი „სელტიკში" მოხვდა.

ამბები

## აინტრახტს დაცვაში უჭირს




პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „აინტრახტს" დაცვის ხაზში საკადრო პრობლემები აქვს, რის გამოც ფრანკფურტელთა მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეჰმ** უკვე არაერთხელ დაიჩივლა. უახლესი ინფორმაციით, „აინტრახტში" გადასვლის პირველი კანდიდატი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „კიოლნის" მცველი და კაპიტანი **პედრო ჟერომელია**, რომლის სანაცვლოდაც „თხები" 4 მილიონ ევროს ითხოვენ.

## ებერტი ჰოფენჰაიმში ვარჯიშობს




ბერლინის „ჰერტამ" 25 წლის მარჯვენა ნახევარმცველ **პატრიკ ებერტს** კონტრაქტი ჯერ კიდევ წინა სეზონის დასრულებისთანავე გაუწყვიტა და ეს უკანასკნელი ახლა უკლუბოდაა, მაგრამ „ჰოფენჰაიმში" ვარჯიშობს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ებერტი „ჰოფეში" დარჩება. „სოფლელების" მთავარი მწვრთნელის, **მარკუს ბაბელის** თქმით, მან უბრალოდ კეთილი ნება გამოიჩინა და ებერტი გუნდში მხოლოდ იმის გამო მიიღო, რომ ამ უკანასკნელმა ფორმა შეინარჩუნოს.

## მოსკოვის დინამომ შილდენფელდი იყიდა

მოსკოვის „დინამომ" გერმანული „აინტრახტიდან" მცველი **გორდონ შილდენფელდი** გადაიბირა. ამ უკანასკნელმა რუსულ კლუბთან, სადაც **კევინ კურანიც** თამაშობს, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფრანკფურტელებმა შილდენფელდის სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო მიიღეს.

## ფათის არველაძის ქაისერი არ მოეწონა

„მაინცის" მარცხენა მცველი **მალიკ ფათი** თურქულ „ქაისერისპორში" სინჯებზე იმყოფებოდა, მაგრამ **შოთა არველაძის** კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია. ფათი გერმანიაში დაბრუნდა და „ქაისერისპორთან" განშორების მიზეზად ცუდი პირობები დაასახელა. მისი თქმით, თურქებმა მიუღებელი წინადადებით მიმართეს და იქვე დაამატა, „ქაისერი" დიდად არც მომწონებიაო.

## ოდონკორი უკრაინაში წავიდა

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ახლა უკვე 28 წლის ძალიან სწრაფი გარემარბი **დავიდ ოდონკორი** უკრაინულ უჟგოროდის „ზაკარპატიაში" გადავიდა. 2006 წლის მუნდიალის მონაწილემ, რომელმაც გასული სეზონი აახენის „ალემანიაში" გაატარა, უკრაინის მეორე ლიგაში გავარდნილ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ოდონკორი ესპანურ „ბეტისში" თამაშობდა, სადაც ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ 51 მატჩი ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ოდონკორი მანამდე დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას იცავდა და 2002-დან 2006 წლამდე ბუნდესლიგის 75 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



დავიდ ოდონკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**პასი ამერიკიდან. ბრაზილია. სერია A. გამორჩეული მატჩი**


ელკესონი (შუაში) დუბლით გამოირჩა

# ლიბერტადორესის თასის მფლობელს საქმე გასავარდნად აქვს

## როცა გუნდში ჯონ ლენონი გყავს...

**კორინთიანსი–ბოტაფოგო 1:3**

**კორინთიანსი:** კასიო, პაულუ ანდრე, ფაბიო სანტოსი, ჩიკაუ, ალესანდრუ, დანილო (70. დუგლასი), ალექსი, პაულინიო (83. ლ. რამირესი), რალფი, ელტონი (62. ადილსონი), რომარინიო.

**ბოტაფოგო:** ჯეფერსონი, ლუკასი, ფაბიო ფერეირა, ანტონიო კარლოსი, მარსიო აზევედუ (90. ჯონ ლენონი), რენატო, ფელიპე გაბრიელი (80. როდრიგო დანტასი), ანდრეზინიო, ელკესონი (76. ვილიანი), ლუკას ზენი, სიდინიო.

**გოლები:** 0:1 პაულუ ანდრე (28 ს.კ.), 0:2 ელკესონი (57), 0:3 ელკესონი (69), 1:3 ჩიკაუ (90-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 8 | 6 | 1 | 1 | 12-3 | 19 |
| 2. ფლუმინენსე | 8 | 5 | 3 | 0 | 15-5 | 18 |
| 3. ვასკუ და გამა | 8 | 5 | 2 | 1 | 15-11 | 17 |
| 4. ბოტაფოგო | 8 | 5 | 0 | 3 | 20-14 | 15 |
| 5. სან პაულუ | 8 | 5 | 0 | 3 | 11-9 | 15 |
| 6. ინტერნასიონ. | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| 7. კრუზეირო | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| 8. გრემიო | 8 | 4 | 0 | 4 | 9-8 | 12 |
| 9. ფლამენგო | 8 | 3 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 10. პონტე პრეტა | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 11. ნაუტიკო | 8 | 3 | 1 | 4 | 9-15 | 10 |
| 12. სპორტი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 13. პორტუგეზა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| 14. სანტოსი | 8 | 1 | 5 | 2 | 7-7 | 8 |
| 15. ფიგეირენსე | 8 | 1 | 5 | 2 | 8-10 | 8 |
| 16. კორიტიბა | 8 | 2 | 1 | 5 | 13-16 | 7 |
| 17. ბაია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |
| 18. პალმეირასი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-10 | 5 |
| 19. კორინთიანსი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-11 | 5 |
| 20. ატლ. გოიან. | 8 | 0 | 2 | 6 | 4-15 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ალექსანდრო (ვასკუ და გამა), არაუჟო (ნაუტიკო); 4 - ლუიშ ფაბიანო (სან პაულუ), ხერმან ერერა (ბოტაფოგო), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო).

**მომდევნო ტური**

14 ივლისი: **კორინთიანსი-ნაუტიკო, ფიგეირენსე-ატლ. მინეირო, პონტე პრეტა-კორიტიბა.**

15 ივლისი: **ბოტაფოგო-ფლუმინენსე, ინტერნასიონალი-სანტოსი, კრუზეირო-გრემიო, ბაია-ფლამენგო, ვასკუ და გამა-ატლ. გოიანიენსე, პალმეირასი-სან პაულუ, სპორტი-პორტუგეზა.**

ამერიკული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს, ლიბერტადორესის თასის მფლობელი „კორინთიანსი" შინაურ პირველობაზე საშინლად ასპარეზობს - სან-პაულუს კლუბი 20-გუნდიან სერია A-ში ბოლოსწინა ადგილზეა, მან 8 თამაშიდან მხოლოდ 1 მოიგო და 5 გოლი გაიტანა. 51 წლის სპეციალისტის, **ტიტეს** გუნდმა სწორედ ლიბერტადორესის თასის ფინალის გამო გადმოტანილ მატჩშიც შეირცხვინა თავი, შინ „ბოტაფოგოსთან" 1:3 წააგო. რიოელები კი ამ მოგების წყალობით მე-4 ადგილზე ალზევდნენ. ბუნებრივია, ჯერ ძალიან ადრეა „ბოტაფოგოს" საჩემპიონო შანსებზე ლაპარაკი, სერია ა-ში ხომ წინ 30 ტურია.

პირველ ტაიმში მასპინძელთა მცველმა **პაულუ ანდრემ** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მეორეში კი შეხვედრის ბედი „ბოტაფოგოს" 22 წლის ნახევარმცველმა **ელკესონმა** გადაწყვიტა, როცა 12 წუთში დუბლი შეასრულა. შეხვედრის ბოლო წუთზე „კორინთიანსის" მცველმა **ჩიკაუმ** პენალტით ერთი გაქვითა, მაგრამ ამით ლიბერტადორესის თასის მფლობელს ვერაფერი ეშველა - 1:3. სხვათა შორის, ბოლო წუთზე მოედანზე სტუმართა რიგებში გამოვიდა ფეხბურთელი საოცარი სახელით - **ჯონ ლენონ სილვა სანტოსი.** ჯონ ლენონი 20 წლისაა და „ბოტაფოგოში" ახლახან გადავიდა.

### პაულინიოს ინტერი არ უნდა

ლიბერტადორესის თასზე თავის გამოჩენის შემდეგ „კორინთიანსის" ფეხბურთელებზე ნადირობა გამოაცხადეს ევროპულმა გრანდებმა. გუნდს ესეც გვარიანად ხელს უშლის სერია ა-ში თამაშში. ერთი მაგალითი, სანპაულელთა 23 წლის ნახევარმცველი **პაულინიოა,** რომლის შეძენაც მილანის „ინტერს" სურს, თუმცა „კორინთიანსი" ყველა ღონეს ხმარობს მის შესანარჩუნებლად. სხვათა შორის, ფეხბურთელსაც ბრაზილიაში სურს დარჩენა: „გუნდი ჩემი დატოვებით დაინტერესებულია, თავადაც აქ დარჩენა მსურს. რაც მალე გადაწყდება საკითხი, მით უკეთესი, რომ არასაფეხბურთო ფაქტორებმა ხელი არ შემიშალოს თამაშში. „ინტერის" წარმომადგენლები მე არ შემხვედრიან, მაგრამ ჩემს აგენტს დაელაპარაკნენ. საქმე ფულში არაა, მე უბრალოდ ფეხბურთის თამაში მსურს, აქ - ბრაზილიაში", - განუცხადა ფიფას ოფიციალურ საიტს პაულინიომ.

**ბრაზილიის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი**

# აკინო ბრაზილიის თასს ვერ შეწვდა

## სკოლარის გუნდის ტრიუმფი პარანაში

**კორიტიბა–პალმეირასი 1:1 (0:2)**

**გოლები:** 1:0 აირტონი (62), 1:1 ბეტინიო (66)

**გაძევება:** პერეირა (92. კორიტიბა)

*შენიშვნა: ანდერსონ აკინომ (კორიტიბა) 67-ე წუთიდან ითამაშა*

როგორც იქნა, „ვერდაუმაც" „რალაც" მოიგო - დიახ, „პალმეირასმა" **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ხელმძღვანელობით ბრაზილიის თასი მოიგო. თასის ფინალის ორმატჩიან ბატალიაში „პალმეირასმა" **ანდერსონ აკინოს** „კორიტიბას" აჯობა: პირველი 2:0 ჰქონდა მოგებული, საპასუხოში კი 1:1 ითამაშა. არადა, „კორიტიბამ" სერიოზულად გაიბრძოლა, 62-ე წუთზე **აირტონმა** გახსნა ანგარიში, მაგრამ **ბეტინიომ** მაშინვე გაათანაბრა. აკინო მხოლოდ საპასუხო გოლის შემდეგ ჩაება თამაშში და საქართველოს ჩემპიონატის ყოფილმა საუკეთესო ფეხბურთელმა ვერაფერი შეცვალა. ამით „პალმეირასმა", რომელიც ჩემპიონატში ძალიან ცუდად თამაშობს (5 ქულით მე-18 ადგილზე ანუ გასავარდნ ზონაშია) ლიბერტადორესის თასის 2013 წლის გათამაშების საგზური მოიპოვა.



პალმეირასის ფეხბურთელები თასის ალებას ზეიმობენ

**ამბები**

### ბოლატი შინ ბრუნდება

„მუნდო ალბისელესტეს" ცნობით, სამშობლოს უბრუნდება არგენტინელი ნახევარმცველი **მარიო ბოლატი.** ის ჯერ კიდევ ითვლება ბრაზილიური „ინტერნასიონალის" წევრად, თუმცა დღე-დღეზე „ინდეპენდიენტეში" გადაბარგდება. მარიო ბოლატი 27 წლისაა ევროპაში მას „პორტუსა" და „ფიორენტინაში" უთამაშია.

### სუარესს და კავანის ვერ აჩერებენ

ურუგვაის ნაკრებმა ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების პროცესში საოცარი მატჩი გამართა ჩილეს ნაკრებთან - შეხვედრაში 10 გოლი გავიდა! ურუგვაიმ 6:4 მოიგო, ხოლო „ლივერპულის" ფორვარდმა **ლუის სუარესმა** პეთ თრიკი შეასრულა. შეგახსენებთ, რომ **ოსკარ ვაშიგტონ ტაბარესმა** 23-წლამდელთა ნაკრებს სუარესი, **ედინსონ კავანი** და **ეგიდიო არევალო რიოსი** დაამატა. სხვათა შორის, ორი გოლი კავანის ანგარიშზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ამბები**

### ფლეტჩერი შეიძლება წავიდეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** გაკვრით მიანიშნა, რომ 28 წლის შოტლანდიელი ნახევარმცველი **დარენ ფლეტჩერი** შესაძლოა ფეხბურთიდან წავიდეს. მიზეზი წყლულოვანი კოლიტია, რაც ფეხბურთელს შარშანდელი დეკემბრის შემდეგ აწუხებს. ექიმებმა ვერაფრით მოახერხეს დაავადების საბოლოოდ განკურნება. ფლეტჩერს ვარჯიში ჯერაც არ განუახლებია. ცხადია, რომ ის სეზონის დასაწყისსაც დააკლდება. *"დიდ ფეხბურთში დაბრუნებამდე მას წინ კიდევ დიდი წინააღმდეგობები აქვს გადასალახი. რასაკვირველია, გული გვწყდება, რადგან დარენი ძალიან კარგი ბიჭია. თუკი ის ვერ მოახერხებს კარიერის განახლებას, პირობას ვაძლევ, რომ "იუნაიტედი" მას აუცილებლად დაასაქმებს,"* – ამბობს ფერგი.

იმისთვის, რომ ფლეტჩერს თავი კლუბისგან გარიყულად არ ეგრძნო, ფერგიუსონის ინიციატივით ის რამდენიმე თვეა "იუნაიტედის" დუბლების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახდა და დღემდე ამ როლს ასრულებს.


დარენ ფლეტჩერი

### ლაუდრუპი ალენს არ უშვებს


მიხაელ ლაუდრუპი

"სუონსის" დანიელი მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ლაუდრუპი** ამბობს, რომ კლუბი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს 22 წლის უელსელი ნახევარმცველის **ჯო ალენის** სხვა გუნდში გადაბარგებას. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის შეძენას "ლივერპული" ცდილობს. *"ძალიან მინდა, რომ ჯო დარჩეს, რადგან ის ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენადაც ვიცი, ოფიციალური წინადადება არც მიგვიღია "ლივერპულისგან". ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ ჭორებია და მეტი არაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბის ხელმძღვანელობა მე ამას არ დამიმალავდა. ვაღიარებთ, რომ შესაძლოა ჩვენი ლიდერების მიმართ სხვებს ინტერესი ჰქონდეთ, რაც ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, არაკომფორტული გრძნობაა, მაგრამ ჩვენ არც ერთ მათგანთან განშორებას არ ვგეგმავთ,"* – განაცხადა ლაუდრუპმა.

### დებუშის მომავალი გაურკვეველია

საფრანგეთის ნაკრებისა და "ლილის" მარჯვენა მცველს, 26 წლის **მატიე დებუშის** ლიგა 1-იდან წასვლა რომ სურს, ეს ახალი ამბავი არავისთვის არის. გაზაფხულზე ლაპარაკი იყო, რომ მას მიუნხენის "ბაიერნი" მიიწვევდა, მაგრამ ეს ამბავი არ დადასტურდა. "რეკორდმაისტერმა" სატრანსფერო აქტივობა დაასრულა. ამას გარდა ლაპარაკი იყო, რომ მისით "ინტერი" და "ნიუკასლიც" იყვნენ დაინტერესებულნი. შპორტს.ფრ–ს მტკიცებით კი ფეხბურთელმა შესაძლოა საფრანგეთის ექსჩემპიონებთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. "ლილის" პრეზიდენტი **მიშელ სეიდუ** პრესასთან ურთიერთობაზე ჯერ საერთოდ უარს აცხადებდა ახლა კი მეტისმეტად ბუნდოვან პასუხს იძლევა: *"დებუში ჯერ კიდევ შვებულებაშია. მოდი, მივცეთ ბოლომდე დასვენების უფლება. დარწმუნებული ვარ, რომ ის აცნობიერებს, თუ რამდენად ღირებული ფეხბურთელია ჩვენთვის. დაველოდოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები".*

### ოჩოა აიაჩოში რჩება

რამდენიმე დღის წინ შპორტს.ფრ წერდა, რომ "აიაჩოს" 26 წლის მექსიკელი მეკარის **გილერმე ოჩოას** შეძენით "სევილია", "გალათასარაი" და "ოლიმპიაკოსი" იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ტრანსფერს განხორციელება არ უწერია. კორსიკული კლუბი მასთან კონტრაქტის გაწყვეტაზე უარსაა, რადგან შესაფერისი წინადადება არავისგან მიუღია. მექსიკელს მოქმედი ხელშეკრულება კლუბთან 2014 წლის ზაფხულზე ეწურება.

### მარადონა არ მიდის

**დიეგო მარადონამ** "ალ ვასლში" შარშანდელი სეზონი პირწმინდად ჩააგდო, დაიკავა რა მე-8 ადგილი ჩემპიონატში. მისი გუნდი არც მას მერე ბრწყინავდა. ხელმძღვანელობამ ლეგენდარულ არგენტინელს ბოლოს და ბოლოს კარისკენ მიუთითა. აი, რა განაცხადა მან საპასუხოდ: *"მე ყოველთვის მინდოდა ამ შესანიშნავ ქვეყანაში მუშაობა(?!). აქ მშვენივრად მიმიღეს. მადლობელი ვარ შეიხის, ვინც აქ სამუშაოდ მომიპატიჟა, მაგრამ იმედგაცრუებული ვარ მას მერე, რაც კლუბმა ჩემი დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო. მინდა, რომ გუნდთან მუშაობა გავაგრძელო. კლუბს გარკვეული ფინანსური პრობლემები აქვს. სწორედ ამიტომაა, რომ ის ახალ ფეხბურთელებს ვერ ყიდულობს. უახლოეს ხანებში "ალ ვასლის" ხელმძღვანელობასთან ვაპირებ შეხვედრას, რათა ეს პრობლემები განვიხილო. დარწმუნებული ვარ, რომ კომპრომისს აუცილებლად მოვნახავთ".*


დიეგო მარადონა

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი. ხუან მანუელ მატა



ხუან მატას ფეხბურთის გარდა სპორტული მარკეტინგი აინტერესებს

# მატას ცხოვრების სამი ისტორია

ნაწილი პირველი

"ეს ძარცვაა, ჯობია, ყველანი ადგილზე დარჩეთ!" – პარასკევ დილას ორმა მამაკაცმა კამუფლირებული ტანსაცმლითა და სახეზე ნიღბებით ერთ-ერთ ბანკს შეუტია. ერთი მათგანი სეიფთან მიიჭრა და იარალის მუქარით ფული მოითხოვა. ბანკის თანამშრომელთა მხრიდან ის ბრძანებებისადმი უსიტყვო მორჩილებას ითხოვდა. მეორე კი, იმისთვის, რომ ქუჩაში ხალხის ყურადღება არ მიექცია, სალაროსთან რიგის თავში ჩადგა და მოლარეს ფულის გადაცემა წყნარად მოსთხოვა. მასთან ყველაზე ახლოს მდგომ ადამიანს კი შუბლზე იარალი დაადო და ურჩია, რომ მოქმედებებისგან თავი შეეკავებინა, რათა ტრაგედია თავიდან აეცილებინა. ეს ადამიანი **ხუან მატა-უფროსი** იყო. შემდეგ ერთი ყაჩალი მეორე დარბაზში გადავიდა, სადაც რამდენჯერმე გაისროლა აღელვებული ხალხის დასაშოშმინებლად. ამასობაში შენობასთან პოლიცია გაჩნდა. სამართალდამცავებს დიდხანს არ უფიქრიათ და ყაჩალებს სროლა დაუწყეს. დაიწყო პანიკა. დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. მათ შორის ერთ-ერთი თავდამსხმელი, ვინც იატაკზე დავარდა თუ არა, იარალი სწორედ მატა-უფროსმა გამოგლიჯა ხელიდან. ბოლოს შენობა მან უვნებელმა დატოვა.

ყველაფერი ეს ბურგოსში (კასტილიისა და ლეონის რეგიონი) მოხდა, ქალაქში სადაც **ხუან მატა-უმცროსი** დაიბადა. ამ დროს მამამისი ადგილობრივ კლუბში თამაშობდა. „ოვიედოში", წინაპრების მხარეში მატა მალე გადავა, მაგრამ ჯერ ამ ქალაქში ცხოვრობს სტადიონთან ახლოს და "ესტადიო ხუვენტუდში" თამაშობს. ხუანი ისე დარბის როგორც ისარი და დაუღალავად მუშაობს. გააქვს გოლები. ხუანმა "ოვიედოს" ყურადღება მიიქცია, რომლებმაც ის "რეკეკსონის" აკადემიაში მიიწვიეს. მისი მწვრთნელი გახდა **ტომასი**, "ოვიედოსა" და "ვალენსიის" ყოფილი ფეხბურთელი. მატამ პროგრესი ძალიან სწრაფად განიცადა. მალე ის კადეტებში გადაიყვანეს, სადაც თავისზე ერთი წლით უფროსებთან ერთად თამაშობდა. ხუანს მომავალშიც თითქმის ყოველთვის უფროსებთან ერთად მოუწევს თამაში. "ოვიედოს" კანტერაში სამი წლის განმავლობაში მან 133 (!) გოლი გაიტანა. მეორე სეზონში კი ასტურიის ჩემპიონი გახდა. მის ანგარიშზე 65 ბურთი იყო. მატას ასაკისთვის არადამახასიათებელი პლუსები ჰქონდა და გასაკვირი სულაც არ იყო, რომ ესპანური გრანდების მთავარი სამიზნე შეიქნა. ახალი გამოწვევები და გამოცდილება მასაც სჭირდებოდა.

## ისტორია №1

ერთხელ მისმა ბიძამ, ვინც ერეროს ერთ-ერთ ბანკში მუშაობდა, ხუანის დედას დაურეკა და აცნობა, რომ მის სამსახურს სარეკლამო კამპანიისთვის ორი პატარა ბავშვი მოდელების როლისთვის სჭირდებოდა. *"მოიყვანე ხუანი და პაულა, ფოტოებს გადაუღებენ,"* – უთხრა მან დას. გაკეთდა ფოტოკოლაჟი, სადაც ხუანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჭოგრიტით უყურებდა. და კი მას ვარსკვლავებზე უთითებდა. ეს რეკლამა მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ასტურიის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა. მატა უყურებდა ვარსკვლავებს და არ იცოდა, რომ მალე ის თავად გახდებოდა ერთ-ერთი მათგანი. თუმცა ფეხბურთელის სიტყვებს თუ ვენდობით, მას არასოდეს უოცნებია ვარსკვლავის სტატუსზე და მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ ოდესმე პრიმერაში ეთამაშა.

მაშინ ხუანს ჯერ კიდევ არავინ იცნობდა. ერთხელ პატარა ფეხბურთელს თავისუფალი დრო ჰქონდა, მეცადინეობისგან ისვენებდა და სავარძელზე იყო წამოწოლილი. მამა ამ დროს ვიდეოკასეტებში იქექებოდა. ბოლოს მან ნახა საჭირო და შვილს **დიეგო არმანდო მარადონას** თამაშის ფრაგმენტები ჩაურთო. ხუანი ამ კადრებმა სამუდამოდ დაატყვევა. *"არასოდეს მინახავს, რომ ოდესმე ვინმეს მარცხენა ფეხით ასეთი მანიპულაციები ჩაეტარებინა. ეს სიმსუბუქე ჯადოქრობაა,"* – თქვა წლების მერე მატამ. ის ოცნებობდა დიდ არგენტინელთან შეხვედრაზე. 2009 წლის 14 ნოემბერს ესპანეთი-არგენტინის მატჩზე, რომელზეც ისიც იყო მიწვეული, ფეხბურთელი იმდენად მოედანზე განვითარებულ მოვლენებზე კი არ ფიქრობდა, რამდენადაც მარადონას გაცნობაზე. ხუანმა მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა კერპისთვის. *"მარადონას მერე ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ზინედინ ზიდანმა მოახდინა. მე მისითაც მოხიბლული ვარ,"* – დასძინა მან.

ვარჯიშებისა და თამაშებისგან თავისუფალ დროს მატა "მუდმივი სტუდენტია". "ის სულ წიგნებს უჯდა," – იხსენებს ხუან მატა-უფროსი. დიახ, "ჩელსის" ვარსკვლავი დაუსწრებლად ეუფლება სპორტული მარკეტინგის სპეციალობას მადრიდის კამილო ხოსე სელას უნივერსიტეტში.

*გაგრძელება ხვალინდელ ნომერში*

ამბები

### სიტიმ რეკორდი დაამყარა

"დეილი მეილის" ცნობით, საჩემპიონო სეზონის შემდეგ "მანჩესტერ სიტიმ" "ეტიჰადზე" დასასწრები აბონემენტები რეკორდულად მოკლე დროში გაასხვისა. შარშან ანალოგიური რაოდენობა მხოლოდ მას მერე გაიყიდა, რაც ჩემპიონატი უკვე დაწყებული იყო, წელს კი გულშემატკივრებმა 36 ათასი ცალი სულ რალაც 2 კვირაში დაიტაცეს. გაითვალისწინეთ, რომ შარშანდელთან შედარებით ფასმა 9%-ით მოიმატა.

### დაბრუნდება კეროლი ნიუკასლში?

მას მერე, რაც "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა ენდი კეროლის** იჯარით გაშვების შესაძლებლობა დაუშვა, მისი წაყვანა ერთბაშად რამდენიმე პრემიერლიგელმა ("ვესტ ჰემი", "ფულჰემი", "ტოტენჰემი") მოისურვა. ბოლო ცნობებით მათ შორისაა "ნიუკასლიც", გუნდი, სადაც კეროლი მართლა უმაღლეს დონეზე თამაშობდა. "ინდეპენდენტის" მტკიცებით, "კაჭკაჭები" 1,5 წლის წინ 35 მილიონად გასხვისებული თავდამსხმელის დაბრუნებას 10 მილიონად აპირებენ. ენდიმ ენფილდელთა რიგებში 47 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და 6 საგოლე გადაცემა მიითვალა.

აქვე კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით, "ბარსელონა" მზადაა "ნიუკასლს" 10 მილიონი ფუნტი გადაუხადოს **იოან კაბაიში**. კატალონიელები ფრანგ საყრდენში **სეიდუ კეიტას** შემცვლელს ხედავენ. მართალია, **ტიტო ვილანოვას** კანტერას წარმომადგენლებიც ჰყავს განკარგულებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მათში "ბლაუგრანას" ახალი თავკაცი ღირსეულს ვერავის ხედავს.

ტოტენჰემი

# მოლაპარაკებები გრძელდება

## აბრამოვიჩის გატეხილი სიტყვა

"ტოტენჰემის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** განაცხადა, რომ რაკი **ლუკა მოდრიჩს** "რეალში" წასვლა სურს, ის არც თავად იქნება გუნდიდან ფეხბურთელის წასვლის წინააღმდეგი. მისი თქმით, ამავე აზრზეა კლუბის ხელმძღვანელობაც. *"ის ინტერესი, რასაც მის მიმართ ევროპული გრანდები იჩენენ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ის და რამდენად ბევრი რამ აქვს გაკეთებული "ტოტენჰემისთვის". გულწრფელად გეტყვით, რომ პატივს ვცემთ მის სურვილს, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას კარიერაში. მოლაპარაკებები, რასაც ვაწარმოებთ, იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ისეთ გადაწყვეტილებამდე არ მივალთ, რომელიც ორივე მხარეს აწყობს,"* – განაცხადა ახალგაზრდა პორტუგალიელმა და იქვე დასძინა - *მოუტინიო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იყო ევრო 2012-ზე. მან ფანტასტიკურად ჩაატარა მთელი ტურნირი. ამას გარდა, ის "პორტუს" ნახევარდაცვის ლიდერიც გახლავთ. ის ერთ-ერთია იმათგან, ვისაც ჩვენს სატრანსფერო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასევე განსაკუთრებული ფეხბურთელია ემანუელ ადებაიორი. მოგატყუებთ, თუკი გეტყვით, რომ მისით დაინტერესებულნი არ ვართ. ჩვენი საბოლოო მიზანი პრემიერლიგის მოგებაა".*

### ძველი წყენა

ვილაშ ბოაშმა "ტაიმსთან" ინტერვიუში "ჩელსიდან" მის დათხოვნაზე ილაპარაკა. აი, რა თქვა მან:

- მე შემეძლო "ჩელსიში" ტიტულების მოგება, მაგრამ კლუბმა ამის საშუალება არ მომცა. აბრამოვიჩმა ჩემთვის მოცემული სიტყვა დაარღვია და სამწლიანი პროექტის ბოლომდე განხორციელება არ დამაცადა. მაშინ დამითხოვეს, როცა მეოთხე ადგილიდან სულ რალაც 3 ქულა გვაშორებდა და მშვენიერი შანსი გვქონდა, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი დაგვეკავებინა. რა თქმა უნდა, აბრამოვიჩის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ მას არასოდეს გავიზიარებ. არასოდეს არ ხდება ისე, რომ დამნაშავე მხოლოდ ერთი მხარე იყოს. "ტოტენჰემში" ბევრად უფრო მეტი სითბო შევიგრძენი და მეტი სტაბილურობა, ვიდრე "ჩელსიში" ვგრძნობდი. ამ წუთას ჩემ წინაშე ნამდვილად არ დგას ამოცანა, რომ შელახული რეპუტაცია აღვიდგინო და ასე შემდეგ. მხოლოდ გუნდის სწორი მიმართულებით წარმართვა მჭირდება. "სტემფორდ ბრიჯზე" მუდმივად მიხდებოდა ჩემი პრინციპების დაცვა, რადგან რამდენიმე ფეხბურთელს არაფრით არ სურდა მათთან შეგუება.

### ამბის დასასრული

"ტოტენჰემსა" და "აიაქსს" შორის **იან ფერტონგენის** ტრანსფერზე მოლაპარაკებები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ლონდონური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ დაადასტურა, რომ 25 წლის ბელგიელი "დეზების" წევრია. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. წყაროები განსხვავებულ თანხებს ასახელებენ. "ტრანსფერმარკტის" მონაცემებით ის 8,5 მილიონი ევრო დაჯდა, ინგლისელები კი 10 მილიონ ფუნტს (12,68 მლნ ევრო) ასახელებენ. ფერტონგენი "ტოტენჰემის" მეორე ახალწვეულია **გილფი სიგურდსონის** შემდეგ.



ვილაშ ბოაში აბრამოვიჩის გადაწყვეტილებას დღემდე ვერ ეგუება

სკანდალი

# ჟოაო აველანჟეს ბრალდება წაუყენეს

ფიფას ყოფილ პრეზიდენტ **ჟოაო აველანჟსა** და ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის ექსბოსს, ფიფას ალმასკომის ყოფილ წევრ **რიკარდო ტეიშეირას** ოთხშაბათს ფინანსური მაქინაციების გამო ბრალდებები წაუყენეს. ისინი იყენებდნენ რა თავიანთ მდგომარეობასა და თანამდებობებს, ფიფას პარტნიორი მარკეტინგული კომპანია ISMM/ISL–ის დახმარებით მილიონობით დოლარის ქრთამს იღებდნენ ისეთ საქმეებში, რაც მსოფლიოს ჩემპიონატების სატელევიზიო ჩვენებების უფლების გაცემას ეხებოდა (ხაზს ვუსვამთ, ძირითადად ლაპარაკია 2002 და 2006 წლების მუნდიალებზე). მაგალითად, აველანჟმა 1997 წელს 1,53 მილიონი დოლარის უკანონო შემოსავალი მიიღო. 1992-დან 1997-მდე ტეიშეირამ 12,9 მილიონი "გამოიმუშავა". მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში არ გადაიგზავნება, რადგან ტეიშეირამაც და აველანჟმაც თანხმობა თქვეს, აღნიშნული თანხები უკან დაებრუნებინათ. სკანდალური ინფორმაცია ფიფას დოკუმენტების შესწავლის წყალობით გახმაურდა. 2010 წლიდან მათი გამოქვეყნება ამ ორგანიზაციის მიერ იყო ტაბუდადებული, თუმცა ჯერ შვეიცარიის ცუგის კანტონის სასამართლომ და შემდეგ კი ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ მას პირდაპირ დაავალა მასალების გასაჯაროება.

აქვე გეტყვით, რომ 96 წლის აველანჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა ოფიციალური ვერსიით დღემდე საკმაოდ რთულია. 2011 წელს, როცა მან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა დატოვა, პრესამ იგუმანა, რომ ეს უფრო მის სახელთან დაკავშირებულ კორუფციულ სკანდალთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გართულებულ ჯანმრთელობასთან.



ჟოაო აველანჟი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ბაიერნი

# ყველა ბილეთი გაყიდულია!

## და თომას მიულერი მიუნხენში რჩება



ალიანს არენაზე ყველა ბილეთი და აბომენეტი გაიყიდა

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ თვე-ნახევარია დარჩენილი (გერმანიის ჩემპიონატი 24 აგვისტოს იწყება), მაგრამ მიუნხენის „ბაიერნის" საშინაო მატჩებზე დასასწრები ყველა ბილეთი (!) უკვე გაყიდულია – „ალიანს არენა" ბუნდესლიგის 17-ივე შეხვედრაში გადაჭედილი რომ იქნებოდა, ამაში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, საინტერესო ის არის, რომ ყველა აბონემენტი და ყველა ბილეთი სეზონის დაწყებამდე 6 კვირით ადრე გაიყიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერის საშინაო მატჩებს მარტო ბუნდესლიგაში 1.1 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრება.

*„მადლობას ვუხდი ყველა გულშემატკივარს ასეთი ინტერესისთვის და იმედი მაქვს, რომ ჩვენს ფანებს იმედებს აღარ გავუცრუებთ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რაოდენ პოპულარულია „ბაიერნი",* - ეს მიუნხენური გრანდის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

სეზონური აბონემენტების გაყიდვები „ბაიერნმა" 39 500 ეგზემპლარის გაყიდვის მერე შეწყვიტა, რის შემდეგაც ყველა მატჩის 29 500 ბილეთიც უპრობლემოდ გაიყიდა – „ალიანს არენას" ტრიბუნებზე კი, მოგეხსენებათ, სულ 69 000 მაყურებელი ეტევა. შეგახსენებთ, რომ ბავარიელები 2012/13 წლების სეზონის პირველ საშინაო მატჩს 2 სექტემბერს, „შტუტგარტთან" ჩაატარებენ.

### მიულერი: ბაიერნს ვჭირდები, ბაიერნი მჭირდება!

ბოლო დროს აქტიურად ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბაიერნის" 22 წლის შემტევ ნახევარმცველ **თომას მიულერს**, რომელიც ევროპის ჩემპიონატის გამო ჯერ კიდევ შვებულებაშია, „ინტერი", „მილანი" და „მანჩესტერ სიტი" ეპატიჟებიან. თომასი, რომელსაც რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, ამ თემას გუშინ გაზეთ „ბილდის" ფურცლებიდან გამოეხმაურა.

*„ვინც მიცნობს, იცის, რომ „ბაიერნი" ჩემი გუნდია. ამავდროულად, მე არც ისეთი ტიპი ვარ, რომელიც კარგ კონტრაქტს გამოეკიდება და გუნდში მხოლოდ იმიტომ დარჩება, რომ მაღალი ხელფასი აილოს. მიმაჩნია, რომ „ბაიერნს" ვჭირდები და წასვლა არც მე მინდა. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მიუნხენიდან აბარგებაზე უნდა დავფიქრდე,"* - განაცხადა მიულერმა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რიკელმეც ჩინეთში, დროგბასთან?

## მიუხედავად ფანების პროტესტისა, ხუან რომანი ბოკაში არ რჩება

„ბოკა ხუნიორსის" ფანებმა **ხუან რომან რიკელმეს** შესაძლო აბარგება სასტიკად გააპროტესტეს, მაგრამ მიუხედავად ათასობით ფანის საპროტესტო აქციისა, რიკელმა „ბოკაში" დარჩენას მაინც არ აპირებს. 34 წლის გამთამაშებლის აგენტმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რიკელმე გაგებით ეკიდება ფანების მოთხოვნას, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა „ბოკას" ფანები შოკში რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებით ჩააგდო – ამ კლუბს ველარაფერს მივცემ და უნდა წავიდეო. რიკელმეს ამ განცხადებას წინ უძღოდა ლიბერტადორესის თასის ფინალში განცდილი მარცხი...

არგენტინული მედიის ინფორმაციით, რიკელმემ „ბოკა ხუნიორსის" დატოვება პირველ რიგში მწვრთნელთან, **ხულიო სესარ ფალსიონისთან** უთანხმოების გამო გადაწყვიტა. უახლესი ცნობების თანახმად, რიკელმეს არგენტინული კლუბები, „ტიგრე" და „არხენტინოს ხუნიორსი" ეპატიჟებიან. დაინტერესება გამოხატეს ბრაზილიური „ფლამენგოს" ბოსებმაც, ყველაზე მეტად კი ჩინური „შანხაი" აქტიურობს – გუნდი, რომელმაც **დიდიე დროგბა** გადაიბირა.




მიუხედავად ფანების თხოვნისა, ხუან რომან რიკელმე ბოკაში მაინც არ დარჩება

რეალი

# რეალი ნური შაჰინის განათხოვრებაზე ფიქრობს

„მარკას" ინფორმაციით, მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** თურქი ნახევარმცველის, **ნური შაჰინის** არენდით გაშვებაზე ფიქრობს. მართალია, პორტუგალიელი სპეციალისტი ყოველთვის იმეორებდა, შაჰინი მჭირდებაო, მაგრამ სამეფო გუნდის ნახევარდაცვაში უდიდესი კონკურენციაა, საყრდენებისთვის გათვალისწინებული ადგილები კი **ჩაბი ალონსოს** და **სამი ხედირას** აქვთ ათვისებული, რის გამოც შაჰინს, რომელსაც „რეალთან" კონტრაქტი 2017 წლამდე აკავშირებს, მომავალ სეზონშიც სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოუწევს.

„მარკას" ცნობით, მოურინიოს უნდა, რომ თურქს სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და მის განათხოვრებაზე თანახმაა. ხსენებული გამოცემა იმასაც იუწყება, რომ ნურის „მალაგაში" და „ტოტენჰემში" ეპატიჟებიან. მისი არენდით შაჰინის ყოფილი კლუბი, დორტმუნდის „ბორუსიაც" დაინტერესებულია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

რუსეთის ნაკრები

# რუსების ფავორიტი კაპელოა!

## მუტკომ ფაბიოსთან პირველი მოლაპარაკება დაგეგმა

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა რამდენიმე დღის წინ იმ 13 სპეციალისტისგან შემდგარი სია გამოაქვეყნა, რომლებიც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოიაზრებიან. სია მაშინვე გაგაცანით, სიახლე კი ის არის, რომ რუსებმა სიტყვას საქმე მოაყოლეს და მოლაპარაკებებს შეუდგნენ. ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციით, რუსებმა პირველ რიგში ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს, იტალიელ **ფაბიო კაპელოს** მიმართეს.

*„ჩვენ უკვე დავამყარეთ კავშირი კაპელოსთან და მასთან პირველი მოლაპარაკება დავგეგმეთ,* - აცხადებს ვიტალი მუტკო, - *თავდაპირველად ყველა კანდიდატთან გვსურს გასაუბრება, კონკრეტულ მოლაპარაკებებზე კი მხოლოდ მას მერე გადავალთ, რაც ყველა მათგანის აზრი გვეცოდინება."*

რუსული მედიის ცნობით, მუტკოსა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის შეფების ფავორიტი სწორედ კაპელოა, რასაც არც მუტკო უარყოფს: *„ფაბიო ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია, რადგან მან იცის, როგორ უნდა ჩამოაყალიბოს ბრძოლისუნარიანი და რაც მთავარია, წარმატებული გუნდი. ამაზე კაპელოს სტატისტიკა მეტყველებს. სხვათა შორის, გუუს ჰიდინკზე ფიქრის დროსაც მისი შედეგები გავითვალისწინეთ და როგორც გახსოვთ, მან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაგვიყვანა."*

აღსანიშნავია, რომ რუსულ მედიას კაპელოს ვარიანტი არ მოსწონს. პრესაში გაჩნდა კრიტიკული წერილები: ჩვენი რუსი კოლეგები ფიქრობენ, რომ ფაბიო რუსეთის ნაკრებში შედეგის სწრაფად მიღწევაზე გააკეთებს აქცენტს და არა იმაზე, რომ 2018 წლისთვის დაიწყოს გუნდის შენება – როგორც იცით, 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს რუსეთმა უნდა უმასპინძლოს.

აქვე შეგახსენებთ, რომ კაპელოს გარდა სიაში შემდეგი სპეციალისტები არიან: **ხოსეპ გვარდიოლა, მარჩელო ლიპი, მარსელო ბიელსა, ჰარი რედნაპი, რაფაელ ბენიტესი, ანატოლი ბიშოვეცი და ნიკოლაი პისარევი.**



დათანხმდება ფაბიო კაპელო რუსებს?






მოსაზრება

# დი ნატალე: ბალოტელი ოქროს ბურთს აიღებს

## ტოტო მარიომ აღაფრთოვანა


ანტონიო დი ნატალე და მარიო ბალოტელი

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას **მარიო ბალოტელისა** და **ანტონიო დი ნატალეს** შორის განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება სუფევდა. გახსოვთ ალბათ, იტალიის ნაკრების პირველ შეხვედრაში სუპერმარიომ საოცარი მომენტი გააფუჭა, რის შემდეგაც **ჩეზარე პრანდელიმ** სწორედ ტოტო დი ნატალეთი შეცვალა – უდინელი ახალი შესული იყო მოედანზე, როდესაც ესპანელებს გოლი გაუტანა და თითქოს აჩვენა ბალოტელის, თუ როგორ უნდა დამაგვირგვინებელ ფაზაში მოქმედება; გოლის მომენტში რეჟისორებმა უმალ მარიო აჩვენეს კადრში, რომელიც დი ნატალეზე არანაკლებ გახარებული გახლდათ და სიხარული ემოციურად გამოხატა – თამაშის შემდეგ კი პირველი მივიდა ტოტოსთან და წარმატება მიულოცა. ანალოგიური განმეორდა, როდესაც დი ნატალემ ვერ ივარგა ირლანდიასთან და უკვე შეცვლაზე შესულმა ბალოტელიმ გამოიჩინა თავი. მოკლედ, ორ ფეხბურთელს შორის ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და სწორედ ამაზე ისაუბრა "კორიერე დელო სპორტთან" ანტონიო დი ნატალემ:

"მარიო ბალოტელიზე იმდენი ცუდი მსმენოდა, რომ თავიდან მასთან ურთიერთობას გავურბოდი კიდეც... თუმცა, რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარი ყოფილა და ვერ ვხვდები, რატომ იგონებენ ჟურნალისტები ამდენ სისულელეს. შეიძლება ფეხბურთელი ემოციური იყოს უშუალოდ თამაშის დროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანია და მასთან ურთიერთობის დამყარება სირთულეს წარმოადგენს. მარიო ძალიან კარგი პიროვნებაა და ამაში ნათლად დავრწმუნდი. ამასთან, უძლიერესი ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია "ოქროს ბურთიც" კი მოიგოს. გარკვეულ კომპონენტებზე მართებს მუშაობა, მაგალითად, უბურთოდ სირბილზე, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და რაც მთავარია, პროგრესის გზაზე დგას. ფიზიკურად ძლიერია და საოცარი დარტყმა აქვს – საკუთარ თავზე მუშაობას თუ გააგრძელებს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან მალე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. ჩემი შვილი აღფრთოვანებულია მარიოთი და სწორედ ამიტომ, მისი მაისურა ვაჩუქე; ბოლო დღეებია დაჩემებული აქვს, ბალოტელის მსგავსი ვარცხნილობა უნდა დავიყენოო, მაგრამ მე არ ვაძლევ უფლებას; მარიოს ტელეფონით ესაუბრა და უბედნიერესი იყო – იმედი მაქვს, ოდესმე მამამისსაც ასევე შეიყვარებს".

იუვენტუსი

# საკუთარ თავზე მაღლა

## ტურინელთა დიდი გეგმები

"იუვენტუსის" ახალი ამუნიციის პრეზენტაციაზე, ჟურნალისტთა წინაშე **არტურო ვიდალი** და **მირკო ვუჩინიჩი** წარდგნენ – ბუნებრივია, გარდა მაისურების მორგებისა, მათ კომენტარიც უხვად არიგეს და ომახიანი განცხადებებიც გააკეთეს – მოვუსმინოთ ორივეს და გავიგოთ, როგორი განწყობილებით იწყებენ ტურინელები ახალი სეზონისთვის სამზადისს...

**არტურო ვიდალი:** "გასულ სეზონში, იმაზე უკეთ ვიასპარეზეთ, ვიდრე გვეგონა და ამით, ჩვენივე შესაძლებლობების თამასა ავწიეთ. ამიტომ, ძალიან რთული იქნება, რომ საკუთარ თავს გადავახტეთ და კიდევ უკეთესად ვიასპარეზოთ. თუმცა, სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, რადგან პროგრესისკენ სწრაფვის გარეშე, არანაირ საქმეს აზრი არ აქვს. ვეცდებით, ყველა იმ ტურნირში მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს, რომლებშიც მონაწილეობას მივიღებთ. ბუნებრივია, განსაკუთრებული ენთუზიაზმით ველოდებით ჩემპიონთა ლიგის პაექრობებს, რადგან გვსურს ჩვენი შესაძლებლობები ევროპის მასშტაბით დავამტკიცოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სერია A-ში თავის დაზოგვას ვაპირებთ, არამც და არამც..."


არტურო ვიდალი და მირკო ვუჩინიჩი

**მირკო ვუჩინიჩი:** "თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საწვრთნელი ეტაპის დაწყება ასე არასდროს გამხარებია და როგორც ვატყობ, ჩემი თანაგუნდელებიც ასევე არიან. გუნდში შესანიშნავი განწყობილებაა და ერთი სული გვაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. ჩვენს წინააღმდეგ ნებისმიერი გუნდი გაორმაგებული ენერგიით ითამაშებს და ეს მოტივაციას გვმატებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ერთი მხრივ, სკუდეტო შევინარჩუნოთ. მეორე მხრივ, ჩემპიონთა ლიგაზე გავიბრწყინოთ. არც იტალიის თასის დავიწყება ივარგებს, რომელიც გასულ სეზონში ხელიდან გამოგვეცალა".

ტრანსფერი

# ემილიანო ვივიანო ფლორენციაში ბრუნდება


ემილიანო ვივიანო "ფიორენტინას" კარს და ღირსებას დაიცავს

გასულ ზაფხულს, "ინტერის' მესვეურებმა დიდი ზარზეიმით ამცნეს გულშემატკივრებს, რომ **ემილიანო ვივიანო** სწორედ "ნერაძურის" ღირსებას დაიცავდა; მაშინ ბევრი ვარაუდობდა, რომ ნიჭიერი კიპერი ძირითადი შემადგენლობიდან თვით **ჟულიო სეზარს** ამოაგდება – რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა, ემილიანომ ვერაფერი მოუხერხა ბრაზილიელ კიპერს და არენდის წესით, "პალერმოში" გადაბარგდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ემილიანო კიდევ ერთხელ შეიცვლის ნავსაყუდელს და მომდევნო სეზონში "ფიორენტინას" ღირსებას დაიცავს. ცნობისთვის, 26 წლის მეკარემ კარიერა სწორედ ფლორენციაში დაიწყო და დღემდე, "ვიოლას" თავგადაკლული გულშემატკივარია – შესაბამისად, ამ ამბავს განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა:

"ფლორენციაში დაბრუნებაზე დიდი ხანია ვოცნებობ და როგორც იქნა, ოცნება რეალობად იქცა. "ფიორენტინაში" განსაკუთრებული მოტივაციით ვითამაშებ, რადგან ამ გუნდს ბავშვობიდან ვქომაგობ. კლუბის მესვეურებსა და სამწვრთნელო შტაბს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან მათ ნდობა გამომიცხადეს. "ვიოლა" ამბიციური გუნდია და დარწმუნებული ვარ, რომ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ჩემპიონთა ლიგა? – რატომაც არა, სავსებით რეალურია".


აურელიო დე ლაურენტისი

ნაპოლი

# ნაპოლი [illegible]

## დე ლაურენტისის ოცნება: მესი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან "ნაპოლის" ღირსებას 27 წლის ბრაზილიელი შემტევი **რაფაელი** დაიცავს. სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი "ჰერტაში" ასპარეზობდა და გუნდის ერთიერთი ლიდერიც გახლდათ – გამოირჩევა მდიდარი ტექნიკური არსენალით და დრიბლინგის უნარით. დატოვა თუ არა ბერლინურმა გუნდმა ბუნდესლიგა, რაფაელზე უმალ გაჩნდა მოთხოვნა და როგორც ჩანს, ყველას ნეაპოლელებმა დაასწრეს. ჟურნალისტთა მტკიცებით, ბრაზილიელი შემტევი უკვე იტალიის სამხრეთშია, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ხელშეკრულებასაც გააფორმებს; ერთი ეგაა, ტრანსფერის და კონტრაქტის პირობების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

ამასობაში, პრესას "ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** გაესაუბრა და კიდევ ერთხელ გაამხიარულა საფეხბურთო საზოგადოება – მოვუსმინოთ მას: "სატრანსფერო ფანჯარას აუცილებლად კარგად გამოვიყენებთ, მაგრამ პრიორიტეტული მიზნის მიღწევა ნამდვილად გაგვიჭირდება. არა, კავანის შენარჩუნებას არ ვგულისხმობ – ჩემი სურვილი ლიონელ მესის შეძენაა, ამ საქმის გაჩარხვა კი კატასტროფულად რთულია. არადა, ლიონელი მართლაც რომ ოცნების ფეხბურთელია, ტატუც კი არ აქვს, რითიც ჰამშიკმა და ლავეციმ ძალიან მომაბეზრეს თავი. თანაც, ლიონელი ძალიან ტელეგენურია და ფილმშიც სიამოვნებით გადავიღებდი. თუ მესის გარეშე ჩვენი მიზანი სერია A-ს ხითეულში მოხვედრაა, მესისთან ერთად სკუდეტოს დავუმიზნებდით".

რომა

# ტოტი: ასე არაფერი გამოვა

## კაპიტანი ტრანსფერებს ითხოვს

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ამხანაგური მატჩი "რომამ" 9:0 მოიგო, **ფრანჩესკო ტოტი** რაღაცით უკმაყოფილო დარჩა და ჟურნალისტებთან ერთობ პესიმისტიური ხასიათის კომენტარი გააკეთა – ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სიტყვა პირდაპირ "პუპონეს" გადავცეთ: "მოსამზადებელი ეტაპი ახალი დაწყებული გვაქვს და ჯერ ოპტიმალურ ფორმაში ვერ ვიქნებით, მაგრამ პრობლემები წინა წლებთან შედარებით მაინც მეტია. აშკარაა, რომ თუ მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა გვინდა, მინიმუმ სამი-ოთხი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი უნდა დავიმატოთ. უდიდესი გამოცდილება მიმაგრებს ზურგს და ვიცი რასაც ვამბობ – თუ კი ეს ვინმეს ეწყინება, თავისი პრობლემაა, რადგან მე ყველა ნაბიჯს გუნდის საკეთილდღეოდ ვდგამ. ვნახოთ, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე დიდი დროა და იმედი მაქვს, რომ კლუბის მესვეურები გააქტიურდებიან".

ფრანჩესკო ტოტის განცხადებას "რომას" სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** გამოეხმაურა და ნაწყენი ტონით, შემდეგი განაცხადა: "არ მეგონა, თუ ტოტისგან ასეთ რამეს მოვისმენდი, რადგან მან კარგად იცის, რომ გუნდის საკეთილდღეოდ დღე და ღამე ვმუშაობთ; სატრანსფერო ბაზარზე არც არასდროს ვყოფილვართ პასიურები და მით უმეტეს, ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში, როდესაც წინ დიდი მიზნები გვაქვს. ასეთი განცხადებები ფეხბურთელებზე კარგად არ მოქმედებს და გულშემატკივრებსაც ენთუზიაზმს უნელებს – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმატების მისაღწევად სავსე ტრიბუნები გვჭირდება. ფრანჩესკო კაპიტანია და კომენტარების გაკეთებისას მეტი დაფიქრება მართებს".

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

Oxford MEDICAL

პოლიპები - მსხვილი ნაწლავის კიბოსწინა დაავადება!


პროქტოლოგი
ერეკლე გრატიაშვილი

„სწორი და მსხვილი ნაწლავის პოლიპები ხანგრძლივად, ხან კი, მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში შეუმჩნეველია და ადამიანი, რომელიც ამ დაავადებას ატარებს, მათ არსებობას ვერც გრძნობს, ვინაიდან მათი არსებობისას კლინიკური ნიშნები არ ვლინდება" – ამბობს ექიმი-პროქტოლოგი ერეკლე გრატიაშვილი, რომელიც მათი აღმოჩენის (დიაგნოსტირება) შემთხვევაში, სპეციალისტთან აუცილებელ ვიზიტზე საუბრობს. მისივე თქმით, რეკომენდებულია 50-წელს მიღწეულ ყველა ჯანმრთელ ადამიანს გამოკვლევა ჩაუტარდეს.

– სწორი ნაწლავის და ანალური არხის პოლიპები, ხშირად მხოლოდ პერიოდული სისხლდენებით, უმნიშვნელო ლორწოვანი გამონადენით და კუჭის მოქმედების დროს მცირე დისკომფორტით ვლინდება. ავადმყოფებს მიაჩნიათ, რომ ჰემოროიდული დაავადება (ბუასილი) აქვთ და პროქტოლოგს დაგვიანებით მიმართავენ. მაშინ, როცა პოლიპი დიდ ზომებს აღწევს, იწყებს გამოვარდნას ანალური არხიდან ან დეფეკაციის აქტის (კუჭის მოქმედების) გაძნელებას. ასეთ შემთხვევებში კი, ხშირად პოლიპი განიცდის კიბოდ გადაგვარებას და მკურნალობა მხოლოდ რადიკალური, რთული ოპერაციით შეიძლება. მაგალითად, სწორი ნაწლავის აბდომინო-პერიანალური ექსტირპაცია (სწორი ნაწლავის ამოკვეთა და ხელოვნური ანუსის ფორმირება მუცლის წინა კედელზე). ასეთი პაციენტების ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია საკმაოდ რთულია და მკურნალობა ფინანსურადაც გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე საწყის ეტაპზე. ონკოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე, მსხვილი ნაწლავის პოლიპების გამოვლენა და ამოკვეთა ერთადერთი ქმედითი ღონისძიებაა ამ ლოკალიზაციის კიბოს თავიდან ასაცილებლად.

თამაზი,54 წლის:

– ხშრიად მაწუხებდა ფაღარათი ან პირიქით, შეკრულობა მქონდა. დეფეკაციის შემდეგ კი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნაწლავები ბოლომდე არ იცლებოდა; შემდეგ განავალში სისხლიც შევნიშნე... ხანდახან ცრუ ჭინთვები და აირების დაგროვება, შებერილობაც ვიგრძენი. ერთბაშად გავხდი, რასაც მუდმივი დაღლილობაც ემატებოდა. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ მივედი პროქტოლოგთან, სადაც მითხრეს, რომ კიბოსწინა სტადია ყალიბდებოდა... მივხვდი, რომ გადავრჩი. ასე რომ,ნუ გადადებთ პროქტოლოგთან ვიზიტს!

**უროლოგია**
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

**გინეკოლოგია**
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

**პროქტოლოგია**
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**კოსმეტოლოგია**
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

**დერმატოლოგია**
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

Oxford MEDICAL
229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ქართული სპორტი

ლიცენზიატები

# მესამე ცდა და დებიუტი

**დავით ილარიანი. 31 წლის. ათენისა და პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომასა და 110 მეტრზე თარჯრბენში. 2007 და 2009 წლების ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებული ზარნიცასა და სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინა), ანალოგიური შეჯიბრების 2003 წლის ბრინჯაოს პრიზიორი. საქართველოს რეკორსდმენი. ოლიმპიურ თამაშებში მესამედ იასპარეზებს ლონდონში, სადაც არა მარტო თარჯმრბენი, არამედ სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძის მწვრთნელადაც მოგვევლინება - ქართული სპორტის ისტორიაში ოსტატისა და შეგირდის ოლიმპიადაზე ერთად გამოსვლის პირველი შემთხვევა იქნება.**


ბოლესლავ სხირტლაძე (მარცხნივ) და დავით ილარიანი

- ვარკეთილის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ფიზაღზრდის მასწავლებლებმა - ვასილ მჭედლიშვილმა და ნუკრი დვალიშვილმა მძლეოსნობაში ვარჯიში რომ დამაწყებინეს, - იხსენებს დავით ილარიანი. - სიმაღლეზე ხტომასა და თარჯრბენში ვცდიდი ძალებს. 1997 წელს თბილისის პირველობაზე მეორე ადგილი რომ დავიკავე, მწვრთნელებმა მძლეოსნობის ცნობილ სპეციალისტ სერგო ქავთარაძესთან მიმიყვანეს. მისი ხელმძღვანელობით რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსებში. 2003 წელს სტამბოლში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე 110 მეტრი თარჯებით 14,03 წამში დავფარე და ბრინჯაოს დავჯერდი, რაც პირველი დიდი სპორტული წარმატება იყო ჩემს ცხოვრებაში.

**- იმავე წელს 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზე და მე-9 ადგილი დაიკავე.**

- იმ შეჯიბრებაზე მნიშვნელოვანი ის იყო, 13,75 წამით ათენის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივი შევასრულე. მერე აღმოჩნდა, რომ ამგვარი შედეგი ბევრს ჰქონდა, ამიტომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სალიცენზიო ნორმატივი 13,72 წამამდე დაიყვანა. 2004 წლის ივნისში უკრაინის ღია ჩემპიონატზე 13,69 წამით პირველი ადგილი დავიკავე, ელადის საგზურიც მოვიპოვე და 33 წლის წინათ ანატოლი მოშიაშვილის მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდიც გავაუმჯობესე. ათენში, სამწუხაროდ, ჩემი შედეგიც ვერ გავიმეორე - 13,72 წამით 56 მონაწილეს შორის 32-ე ადგილზე გავედი.

**- ორი ოლიმპიადის მონაწილე ხარ.**

- პეკინის თამაშების წინ გოგი გოზალიშვილთან გადავედი სავარჯიშოდ. ორ შეჯიბრებაზე ხელი მომეცარა. სამაგიეროდ, 2008 წლის 13 ივნისს იერუსალიმში ისრაელის ღია ჩემპიონატი მოვიგე 110 მეტრზე თარჯრბენში 13,67 წამით, რითაც საქართველოს რეკორდი დავამყარე და ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლებაც მოვიპოვე. პეკინში 13,74 წამით მეოთხედფინალში გავედი...

**- წლეულს ლონდონის საგზურის მოპოვება გაგიძნელდა?**

- ორი წელიწადია, დამოუკიდებლად ვვარჯიშობ, თან მწვრთნელობაც დავიწყე. ბოლესლავ სხირტლაძეს 2010 წელს აქტიური სპორტისთვის თავის დანებება უნდოდა. კარგა ხანს ორივეს ბატონი გოგი გვავარჯიშებდა. პერსპექტიულ სპორტსმენად მიაჩნდათ, მაგრამ შედეგებს ვერ აუმჯობესებდა. მძლეოსნობისთვის ზურგის შექცევა გადავაფიქრებინე. ასე ვთქვათ, მწვრთნელის ფუნქციები ვიკისრე. თან ვუთხარი, ლონდონის თამაშებზე ერთად გავემგზავრებით-მეთქი. დამიჯერა. შარშან 7,77 მეტრზე რომ გადახტა, იმედი მომეცა. წლეულს საბერძნეთის სალიცენზიო ტურნირზე უნდა ეცადა ბედი, მანამდე ისრაელის ღია ჩემპიონატზე მიწევდა გამოსვლა. ბოლესლავიც გამომყვა საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად. ერთად ვიყავით იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე მოვილოცეთ. შეჯიბრების დღეს წინასწარი გარბენი მოვიგე და ფინალისთვის ვემზადებოდი. ამ დროს სიგრძეზე მხტომელების ასპარეზობაც დაიწყო. თვალი სახტომი ორმოსკენ გამექცა და რას ვხედავ - პირველსავე ცდისას ტაბლოზე 8,12 აენთო - რამაც ჩემს შეგირდს ლონდონის საგზური მოუტანა. მეც მზად ვიყავი, მსგავსი წარმატებისთვის, მაგრამ ფინალში სუსტი მეტოქეები შემხვდნენ, კონკურენციას ვერ ვგრძნობდი. პირველი ადგილი კი დავიკავე, მაგრამ სალიცენზიო ნორმატივი ვერ შევასრულე. სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ ბულგარულ სლოვენში იქაურ ღია ჩემპიონატზე 110 მეტრი თარჯებით 13,58 წამში დავფარე და საქართველოს რეკორდი დავამყარე. 0,1 წამით კუვეიტელმა გამისწრო. ორივემ ლონდონში გამგზავრების უფლება მოვიპოვეთ.

**- თამაშებში რას გეგმავ?**

- ეს ოლიმპიადა ჩემთვის ორმაგად პასუხსაგები იქნება - როგორც სპორტსმენისთვის და როგორც მწვრთნელისთვის. სხირტლაძე ბრიტანეთის დედაქალაქში 3 აგვისტოს იასპარეზებს, მე კი ოთხი დღის შემდეგ მომიწევს სარბენ ბილიკებზე გასვლა. ვეცდები, ნახევარფინალს ვუწიო, ბოლესლავს კი, იმედია, ფინალში ვიხილავთ.

**- შეგირდი რას იტყვის?** - მივმართე სხირტლაძეს.

- აბა, რა გითხრათ. ოლიმპიური თამაშების დებიუტანტი ვარ, მაგრამ ვეცდები, ლონდონში შესაძლებლობის მაქსმუმი ვაჩვენო.

**- მძლეოსნობაში როგორ მოხვდი?**

- მამაჩემი ალექსანდრე სხირტლაძე სამმაგ ხტომაში სპორტის ოსტატია, საქართველოს ყოფილი ჩემპიონი. ექვსი წელიწადი თავად მავარჯიშებდა, მერე ბატონ გოგი გოზალიშვილთან ვემზადებოდი. 2007 წელს საქართველოს ჩემპიონატი 7,56 მეტრით მოვიგე. ორი წლის შემდეგ სარაევოში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ისრაელის ღია პირველობაზეც მესამე ვიყავი.

**- წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მაინცდამაინც ვერ იყოჩალე...**

- ალბათ, დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ბრალია. ხუთი წელიწადი ნებისმიერ შეჯიბრებაზე 7,56 მეტრზე ნაკლები შედეგი არ მიჩვენებია. ჰელსინკიში კი 7,23 მეტრზე გადავხტი. თავადაც ვერ ამიხსნია, რა მოხდა. ყველაფერს ვილონებ, მსგავსი რამ ლონდონში არ გამეორდეს და ქომაგები არ გავანწბილო.


დავით ილარიანი


ბოლესლავ სხირტლაძე

ამერიკული ფეხბურთი

# ოთხი გუნდის მონაწილეობით

დასრულდა 2012 წლის თბილისის ჩემპიონატი Flag Football-ში (ამერიკული ფეხბურთის სახეობა). შეჯიბრებაში თემქის, ნაძალადევის, ვერის და ოქროყანის გუნდები მონაწილეობდნენ. ყოფილი სპორტის აკადემიის მოედანზე გამართული შეხვედრები ასე დასრულდა: ვერა-თემქა 16:11, ოქროყანა-ნახალოვკა 25:15, ვერა-ნახალოვკა 15:0, ოქროყანა-თემქა 15:16, თემქა-ნახალოვკა 20:0 (ავტომატური წაგება), ოქროყანა-ვერა 25:25; დამატებითი დრო 17:6. **ფინალი:** თემქა-ოქროყანა 17:12.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. თემქა, 2. ოქროყანა, 3. ვერა. 4. ნახალოვკა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს: გიორგი ფსუტური, გიორგი გიგაური (ორივე - თემქა), ნიკა და გიორგი აკობიები (ორივე - ოქროყანა), დათო ოსეფაშვილი, დენის ჟვანია (ორივე - ვერა).

ჭადრაკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრიზიორები მდიდრულად დაასაჩუქრეს

ოთხი ოქრო, ამდენივე ვერცხლი და სამი ბრინჯაო - ასეთია მასპინძელთა ნადავლი 8-12 წლის მოჭადრაკეთა ევროპის თასის გათამაშებაში, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გაიმართა. გუშინ სწორედ ბოლო ტურის შეხვედრებმა გამოავლინა გამარჯვებულები და პრიზიორები.

**8-წლიან** გოგონებში შესანიშნავად ითამაშა ხობელმა დიანა ლომაიამ. მართალია, მან სტარტზე ნია დონლვანთან წააგო პარტია, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვს მეტოქეს სძლია, გუშინ შავი ფიგურებით სომეხ ნადეჟდა ხაჩატრიანს აჯობა და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. დონლვანმაც იმარჯვა თეკლა ვადაქარიასთან, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე-მეხუთე ადგილებზე ნადეჟდა ხაჩატრიანი (სომხეთი, 5 ქულა), ლილე გუმბერიძე (5) და სალომე ბეიტრიშვილი (4,5) გავიდნენ. ამ ასაკის ბიჭებში ნიკოლოზ კაჭარავამ იყოჩაღა. გუშინ იგი ახმედ ახმედზადეს (აზერბაიჯანი) დაუზავდა და 6,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ბოლო ტურში წარმატებით ითამაშეს ნიკოლოზ კევლიშვილმა, დავით გაბუნიამ და გორ გრიგორიანმა (სომხეთი). რომლებმაც საბა ლომსაძეს, გიორგი ლომინაძესა და ჰოვანეს მკრტიჩიანს გააჩერებინეს საათები. ამდენად, 5,5-5,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილები, შესაბამისად, ახმადზადემ, გაბუნიამ, კევლიშვილმა და გრიგორიანმა გაინაწილეს.

**10-წლიან** გოგონებში მთავარი პრიზი ანასტასია სიდამონიძემ დაიმსახურა - გუშინ იგი თამარ ლაგაზაურს დაუზავდა და 6 ქულას მოუყარა თავი (საგულისხმოა, რომ ნიკოლოზ კაჭარავა და ანასტასია სიდამონიძე თბილისის თასის წლევანდელი მფლობელებიც არიან). გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მაია ბეჭვაია და თამარ ლაგაზაური, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. მომდევნო საპრიზო ადგილზე თამარ ესაძე (5) და ზეინაბ ისმაილზადა (აზერბაიჯანი, 4,5) გავიდნენ. ბიჭებში ბოლო ტურის წინ 5,5 ქულით ერთპიროვნულად რუსი არტიომ ტბურჩანინოვი მეწინავეობდა, მაგრამ დავით კამკიამ შეძლო მისი დამარცხება და 6 ქულით პირველი ადგილის დაკავება. 5,5-5,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილები აბდულა გადიმბაილის (აზერბაიჯანი), ნიკოლოზ პეტრიაშვილს, არტიომ ტრუბჩანინოვსა და რაუფ მურტუზოვს (აზერბაიჯანი) ხვდათ.

ქართველ მოჭადრაკეებს ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ყველაზე კარგი სატურნირო მდგომარეობა **12-წლიანებში** ჰქონდათ, მაგრამ ბოლო დღეებში სტუმრებმა იძალეს და ჩვენებურები მხოლოდ ორ ვერცხლს დააჯერეს. გოგონებში გუშინ ერთპიროვნული ლიდერი ნინო ჯალალონია თეთრი ფიგურებით სომეხ ანი ივანიანთან დამარცხდა და პირველობაც მეზობელს დაუთმო. 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილები ნინო ჯალალონიას და მარიამ ავეტისიანს (სომხეთი) ერგოთ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს მარიამ წამალაშვილმა და მარიამ დოლიძემ, რაც მეოთხე-მეხუთე ადგილებისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ბიჭებში პირველი-მეხუთე ადგილები ასე განაწილდა: 1. აშოტ ფარვანიანი (სომხეთი, 6 ქულა), 2. ირაკლი ახვლედიანი (5,5), 3. ტიმურ ტრუბჩანინოვი (რუსეთი, 5,5), 4. გურამ კოკაია (5,.5), 5. დავით გვენეტაძე (5).

ყველა ასაკში პირველ-მეხუთე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, შესაბამისად, ნოუთბუქებით, ნეთბუქებით, მობილური ტელეფონებით, აიპოდებითა და ფოტოაპარატებით დააჯილდოეს.

# მარგველაშვილი დაწინაურდა

ქართველი დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი** ბენასკიეს (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირზე 5,5 ქულით ლიდერთა ექვსეულში შედიოდა. მე-7 ტურში მან რუმინელი მიხაილ მარინი დაამარცხა და 6,5 ქულით თანამემამულე თამირ ნაბათის მძლეველ დან ზოლერთან (ისრაელი) ერთად მეწინავეობს. ასევე 5,5-ქულიანი იოან-ქრისტიან ჩირილა (რუმინეთი) და გავაინ ჯონსი (ინგლისი) დაზავდნენ. სამწუხაროდ დამარცხდნენ **თორნიკე სანიკიძე** (ესპანელ სერხიო გარზასთან) და **კონსტანტინე შანავა** (მასპინძელ დავით ანტონთან), რომლებიც ლიდერებს 1,5-1,5 ქულით ჩამორჩნენ. მე-8 ტურში მარგველაშვილი და ზოლერი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, სანიკიძე და შანავა კი სტეფ სუურსსა (ბელგია) და ზუზანა სტოჩკოვა (სლოვაკეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

ესპანურ ბარბერა დელ ვალესში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ფინიშამდე ერთი ტური დარჩა. მონაგარი მერვეში ქულით გაიმდიდრა თბილისელმა დიდოსტატმა **ლევან აროშიძემ**, რომელმაც მასპინძელ მაურიციო ვასალოს აჯობა. ერთპიროვნულად კი რუსი მაქსიმ ტუროვი დაწინაურდა, რომელმაც ემილიო გორდოვა (პერუ) დაჯაბნა. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე მექსიკელი ხოსე გარსია გონსალესი და კუბელები - ალექსეი ფერნანდესი და რეინალდო ორტიზი არიან. ბოლო ტურში აროშიძე მიგელ მუნოსს (ესპანეთი) ეთამაშება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● პროფესიული კრივი

# კლიჩკოებივით ჩვენც გვყავს ძმები



შალვა(მარცხნივ) და ლევან ჯომარდაშვილები

**ვარიანელი ძმები 25 წლის შალვა და 23 წლის ლევან ჯომარდაშვილები პროფესიულ კრივში საქართველოს ქამრების მფლობელები არიან. პროფესიულ რინგზე ჩატარებული ბრძოლების რაოდენობით შალვას საქართველოდან მეორე მაჩვენებელი აქვს. ლევანმა კი სულ ახლახან ესპანეთში WBC-ს ინტერკონტინენტალის ჩემპიონის წოდების მოპოვებით გამოიჩინა თავი. ძმებს ვარიანში კრივის კლუბ „ჩემპიონის“ დარბაზში შევხვდით.**

**ლევანი:** ესპანეთში ლუის როდრიგესთან შესახვედრად პირადი მწვრთნელ გელა სხირტლაძესთან ერთად ვიმყოფებოდი. რასაკვირველია, ძნელია იფიქრო მოგებაზე, როცა დარბაზში ქომაგები არ გყავს. გამარჯვება საკუთარი თავის რწმენამ შემაძლებინა. სხვათა შორის, როდრიგესი ჩემამდე წაუგებელი იყო. იგი საკმაოდ გამოცდილიცაა, 33 წლისაა. მის ბრძოლის სტილზე ბევრი არაფერი მსმენოდა, ამიტომ მწვრთნელის მითითებით, პირველ ორ რაუნდში დაზვერვითი ტაქტიკა ავირჩიე. მერე უპირატესობა თანდათან ავკრიფე, მეექვსეში რაუნდში კი ზუსტი დარტყმით მეტოქეს წარბი გაუსკდა. ჩემი უპირატესობა აშკარა იყო და ბოლოს, სამივე მსაჯმა გამარჯვებულად მაღიარა. მძიმე წონაში WBC-ს ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ოქროს მედალი მე გადმომცეს.

**- ალბათ კრივი გიორგი კანდელაკის მიბაძვით შეიყვარეთ...**

**- შალვა:** დიახ, გიორგი კანდელაკის მიბაძვით ჩვენი თაობიდან არაერთმა დაიწყო ვარიანში კრივში ვარჯიში. სპორტის სიყვარული მამამ ჩაგვინერგა, რომელიც გულშემატკივარობით გამორჩეული კაცია. 5-6 წლისანი მიგვიყვანა კრივზე გელა სხირტლაძესთან, რომელიც დღემდე ჩვენი მწვრთნელია. გვავარჯიშებს ვარიანის კრივის სკოლის დირექტორი გია კობახიძეც. ჩვენ დარბაზში ლიახვის ხეობის სოფლებიდან, გორიდან, კასპიდან და კახეთიდანაც კი დადიოდნენ. კახელები გიორგის შემწეობით ვარიანშივე ცხოვრობდნენ. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთხანს ვარიანის დარბაზში სავარჯიშოდ 500-მდე ბავშვიც იკრიბებოდა.

**- სამოყვარულო რინგზე როგორი შედეგები გქონდათ?**

**- შალვა:** 13 წლისა პირველად გავხდი დიდებში საქართველოს ჩემპიონი. ეს იყო 1999 წელს. გიორგი კანდელაკის თხოვნა რომ არა, ორგანიზატორებს ასპარეზობის უფლების მიცემა არ უნდოდათ. მათდა გასაკვირად ყველას ვაჯობე! შემდეგ რამდენჯერმე კიდევ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, გავიმარჯვე არაერთ საერთაშორისო ტურნირში. გამოვდიოდი 69 კგ-ში, 2005 წელს პროფესიონალებში გადასვლიდან კი 72 კგ-ში ვარ. პროფესიონალებში 40 ბრძოლა ჩავატარე, 33 მოვიგე, 5 წავაგე, 2-ჯერ ფრე დაფიქსირდა.

**- ლევანი:** სამოყვარულოში შალვას დარი შედეგებით არ მქონია. პროფესიულ კრივში 17 წლისა გადავედი. 35 ბრძოლა მაქვს გამართული, 28 მოვიგე, 7-ჯერ დავმარცხდი. პროფესიულ რინგზე წარმატება უფრო რეზონანსულია, ვიდრე სამოყვარულოში, აქ სანახაობაც მეტია. ჩვენთან პაექრობა უფრო შემტევია, უჩაფხუტოდ და პატარა ხელთათმანებით.

**- საქართველოს ქამრები როდის მოიპოვეთ?**

**- ლევანი:** მე აქამდე ამ ტიტულისთვის არც მებრძოლა, ქამრის მოსაპოვებლად პირველად 13 ივნისს შევხვდი გოჩა მჭედლიშვილს და მეოთხე რაუნდში ნოკაუტით მოვუგე. შალვამ საქართველოს ქამარი 2007 წელს შემოირტყა, რამდენჯერმე დაცვამაც მოუწია, თუმცა აღარ დაუთმია. საგულისხმოა, რომ სამშობლოში არც თანამემამულესთან და არც უცხოელთან ჯერ არ წაგვიგია.

**- თითქმის ქართული პროფესიული კრივის ჩასახვიდან ხართ რინგზე. როგორ გგონიათ, ნორმალურად მიდის განვითარების პროცესი?**

**- შალვა:** განვითარება დამაკმაყოფილებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველ წლებში მოკრივეები საწყის რაუნდებშივე ილლებოდნენ, ხოლო ამჟამად 12 რაუნდსაც ნორმალურად ვჩხუბობთ და შედეგები უცხოეთის რინგზეც ურიგო არა გვაქვს. ყოველივე ეს პროფესიული კრივის ასოციაციის და მისი ხელმძღვანელის გიორგი კანდელაკის დამსახურებაა. ისინი თითოეულ თეთრს ადებენ ერთმანეთზე, რომ ჩვენ ასპარეზი გაგვიხსნან და გვიპატრონონ.

**ვასილ ბალახაძე**

*დავით ასპანიძის ფოტო*

● ჩოგბურთი

# უიღბლო დღე



ოქსანა კალაშნიკოვა

გუშინ უცხოეთის კორტებზე ოთხი ჩვენებური ცდიდა ძალებს და სამი მათგანი შეჯიბრებას დაემშვიდობა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ის არის, რომ პალერმოშო 220.000-იან ტურნირზე საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატ **ანა ტატიშვილს** წყვილებში ასპარეზობის წინ მოთელვისას მარჯვენა ფეხის კუნთი დაეჭიმა და ასპარეზობა ვერ შეძლო. ოღონდ რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა, ამ დღეებში გამოჩნდება. ჩვენებურს ესპანელ ესტრელა კაბესა კანდელასთან ერთად მარია კონდრატიევას (რუსეთი) და სოფი ლეფევრის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. საღამოს ანა ერთეულთა თანრიგში მაინც გავიდა კორტზე მე-5 ნომრად განთესილ კარლა სუარეს ნავაროსთან (ესპანეთი) სამპაექროდ. პირველი სეტი 1:6 დათმო, მეორეში, როცა ანგარიში იყო 3:2 პირენეელის სასარგებლოდ, ტატიშვილმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და სარბიელი ნაადრევად დატოვა. პალერმოს ტურნირს წყვილებში შემორჩა თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა,** რომელმაც ბელარუს ეკატერინა ძანელევიჩთან ერთად პირველ წრეში სანდრა კლემენშიტცისა (ავსტრია) და ვალერია სავინიხის (რუსეთი) დუეტს აჯობა. მეორე წრეში ისინი ელენა ბოვინას (რუსეთი) და ალიზ კორნეტს (საფრანგეთი) დაუპირისპირდებიან.

სტამბოლში 10.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგში **ანი გოგვაძემ** ბულგარელ ჯულია სტამატოვასთან წააგო - 2:6, 5:7. **ნათია გეგიამ** სტარტზე ავსტრალიელი ები მიერსი დაჯაბნა - 6:0, 5:7, 6:1, მეორეში კი თავად დანებდა ესპანელ ოლგა ლარას - 3:, 4:6. წყვილებში მასპინძელმა კემრე ანილიმ და ანი გოგვაძემ აზერბაიჯანელ კამილა ფარხადსა და ნათია გეგიას აჯობეს - 6:0, 1:6, 11:9, მეორეში მათ ნიკოლა ჰორაკოვას (ჩეხეთი) და იულია სტამატოვას (ბულგარეთი) წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს -3:6, 3:6.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი 2012

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები




# ლატვიაა...

**C ჯგუფი**

**12 ივლისი**

**საქართველო-ლატვია 50:88**

**11:21, 11:19, 13:22, 15:26**

**საქართველო:** ფხაკაძე (25 წთ, 3ქ, 4მ, 2პ), სანაძე (36 წთ, 12ქ, 5მ, 2ჩ), ბოქოლიშვილი (32 წთ, 15ქ, 3პ), ბურჯანაძე (30 წთ, 11ქ, 7მ), ლომინაშვილი (12 წთ, 2ქ), ტეტელაშვილი (15 წთ, 2ქ), ჯავახიშვილი (2 წთ), თენიეშვილი (25 წთ, 1ქ, 6მ, 2ჩ), ალხანაიძე (19 წთ, 4ქ, 8მ), როგავა (4 წთ).

**ლატვია:** ვიტინსი (4ქ), სილინსი (12ქ), ტიმა (21ქ, 10მ, 4პ, 6ჩ), ბრიცისი (10ქ), ვიტლსი (11ქ), საულიტისი (3ქ), ბერზინსი (2ქ), მისტერსი (5ქ), კოდერსი (6ქ), სტრაძინსი (4ქ), ჰელმანისი (8ქ), ბრემერსი (2ქ).

**თურქეთი-ესპანეთი 60:79**

**21:18, 14:29, 14:16, 11:16**

**თურქეთი:** სონსირმა (1ქ), ეროგლუ (2ქ), კანდინი (5ქ), ედგე (12ქ), დოკუიანი (10ქ), გეიკი (10ქ), თუნჩერი (7ქ), კანტიტიზი (3ქ), კალბანი (6ქ), კიზილჩა (2ქ), ტეკინი, კენტლი (2ქ).

**ესპანეთი:** სერვერა (4ქ), პოზასი (2ქ), სანზი (3ქ), ფერნანდესი (12ქ), სუარესი (3ქ), ბარერა (12ქ), აბრინესი (13ქ), დიესი (21ქ), ორიოლა (3ქ), ოლაიზოლა (4ქ), გუარა (2ქ).

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი ჩაატარა. ვერ ვიტყვით, რომ დებიუტი იღბლიანი გამოვიდა – ჩვენმა 20-წლამდელებმა ლატვიასთან 38 ქულის სხვაობით დათმეს. მაშინ, როცა გუნდისგან მოგებას მოელი, ასეთი სხვაობით წაგებამ შესაძლოა მეტად მწვავედ იმოქმედოს, მაგრამ ქართველმა ახალგაზრდებმა მოსამზადებელ ეტაპზე ოთხივე შეხვედრა (ორი ისრაელთან, ამდენივე ესტონეთთან) წააგეს და ნამდვილად არ გვქონდა იმის ილუზია, რომ ევროპის ჩემპიონატის გუნდებთან ერთიორად უკეთესად ითამაშებდნენ. ასეც მოხდა, ლატვიელებმა დაგვანახვეს რომ ქართველებზე უკეთესი 20-წლამდელები ჰყავთ.

მეტოქემ პირველივე პერიოდში 10-ქულიანი ფორა მოიპოვა და თითქმის ყველა კომპონენტში გვაჯობა. ყველაზე მეტად კი ლატვიელთა უპირატესობა ფარქვეშ ჩაგდებულ ქულებში გამოიხატა. მათ 41-დან 29 ორქულიანი გამოიყენეს, რომელთაგან უმეტესობა ახლო მანძილიდან ტყორცნების შედეგი იყო. ქართველებმა კი 17-ით ნაკლები ორქულიანი (12) გამოიყენეს. როცა ერთ კომპონენტში ასეთი სხვაობა ფიქსირდება, შედეგიც შესაბამისია – ბალტიისპირელებმა გამარჯვება დაიმსახურეს.

დღეს ჩვენი ნაკრები თურქეთს დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველი NBA-ში

# შენგელია VS ჰეინსი




**თორნიკე შენგელიას** "ბრუკლინ ნეთსმა" ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე მეოთხე მატჩი ჩაატარა და მეოთხედ დამარცხდა. ამჯერად ბრუკლინელებმა "ოკლაჰომასთან" დათმეს (86:87), რომლის რიგებში გამთამაშებლის პოზიციაზე **მარკიზ ჰეინსმა** ითამაშა. მან თავი დადებითი კუთხით წარმოაჩინა, 17 წუთში 7 ქულა და 7 პასი მოაგროვა.

მწვრთნელებმა თორნიკე შენგელიას მეტი ნდობა გამოუცხადეს – 27 წუთი ათამაშეს. მისი სტატისტიკა ასეთი იყო: 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 ფოლი, 4 შეცდომა. თორნიკემ 7-დან 3 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, ხოლო ერთი სამქულიანი მიზანს ააცილა.

"ბრუკლინის" შემადგენლობაში არც ამჯერად უთამაშია საქართველოს ნაკრების ყოფილ უკანახაზელ **ტორინ გრინს.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი


ლელო-ლოკომოტივი

# კალენდარის ნაწილი დამტკიცებულია

**საქართველოს ჩემპიონატი წლეულს უჩვეულოდ, 1 სექტემბერს დაიწყება. რაგბის კავშირმა, შარშან წლის ბოლოს გადაწყვიტა ეროვნული ჩემპიონატის ფორმატი შეცვალოს. გათამაშება შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით გაიმართება და უმაღლეს ლიგაში რვა გუნდის ნაცვლად ათი იასპარეზებს.**

ჩემპიონატს წინ უძღოდა გარდამავალი, გაზაფხულის ტურნირი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონის „არმიას“ გამარჯვებით დასრულდა. უმაღლესი ლიგის ათი გუნდიდან სამი რეგიონებიდანაა - რუსთავის „ხარები“, ქუთაისის „აია“ და „ბათუმი XV“. მათგან, სავარაუდოდ, სამივეს პრეტენზია აქვს პლეი ოფში გააღწიოს.

ტურნირის ფავორიტები, ზემოხსენებული გუნდების გარდა იქნებიან, „არმია“, „ლელო“ და „ლოკომოტივი“. ცხადია, სტატისტის როლში ყოფნას და გულზე ხელის დაკრეფას არ აპირებენ „აკადემია“, „ყოჩები“ და „ჯიქები“. ეს უკანასკნელი უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და გაზაფხულის ტურნირზე ასპარეზობისას აჩვენა, რომ იოლად არავის არაფერს დაუთმობს.

საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტმა უკვე დაამტკიცა გათამაშების კალენდრის ის ნაწილი, რომელიც წლეულს გასამართავ მატჩებს მოიცავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩემპიონატი სტარტს 1 სექტემბერს აიღებს და 8 დეკემბერს მე-12 ტურის მატჩების შემდეგ ზამთრის შესვენება გამოცხადდება. გათამაშება სავარაუდოდ, თებრვლიდან განახლდება, თუმცა კლუბების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ უმჯობესია, ჩემპიონატი იანვრის ბოლოდან განახლდეს. ამ თემაზე უახლოეს დღეებში რაგბის კავშირის გამგეობა იმსჯელებს და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ალსანიშნავია, რომ ვინაიდან, ეროვნულ ნაკრებს ტესტ მატჩები აქვს გასამართავი, ნოემბრის დასაწყისში მხოლოდ ერთი ტური ჩატარდება და ჩემპიონატი 1 დეკემბრიდან განახლდება.

უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის გუნდები იასპარეზებენ პირველ ლიგაში. აქ თქვსმეტი გუნდი ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონაში ითამაშებს. აღმოსავლეთში ათიდან ორი გუნდი რეგიონისაა, ესენია: პატარძეულის „ვეფხვები“ და გარდაბნის „მგლები“. მათ გარდა, სხვა ყველა თბილისიდანაა: „ხულიგანა“, „თიბისი“, „დევები“, „დინამო“, „ივერია“, „ტორნადო“, „სტუ“ და „ბარბაროსები“.

საკმაოდ მრავალფეროვანია გეოგრაფია დასავლეთ ზონაში, სადაც პირველ ეტაპზე ექვსი გუნდი იასპარეზებს. ფავორიტს, ქუთაისის „ბაგრატს“ პირველობას ფოთის „რაინდები“, ოზურგეთის „არწივები“, ბათუმის „დელფინები“, საჩხერის „ჯრუჭი“ და „მარტვილი“ შეეცილებიან.

პირველ ლიგაში გათამაშება სტარტს 2 სექტემბერს აიღებს. ჭაბუკთა A და B ლიგებში კი შეჯიბრება 4 სექტემბრიდან განახლდება.

**I წრე**

**1 სექტემბერი**

**არმია-ჯიქები, აია-ბათუმი XV, ლოკომოტივი-ყოჩები, ლელო-აკადემია, არმაზი-ხარები**

**8 სექტემბერი**

**ხარები-ჯიქები, არმია-აია, ბათუმი XV-ლოკომოტივი, ყოჩები-ლელო, აკადემია-არმაზი**

**15 სექტემბერი**

**ჯიქები-აია, ლოკომოტივი-არმია, ლელო-ბათუმი XV, არმაზი-ყოჩები, ხარები-აკადემია**

**22 სექტემბერი**

**აკადემია-ჯიქები, აია-ლოკომოტივი, არმია-ლელო, ბათუმი XV-არმაზი, ყოჩები-ხარები**

**29 სერქტემბერი**

**ლოკომოტივი-ჯიქები, ლელო-აია, არმაზი-არმია, ხარები-ბათუმი XV, ყოჩები-აკადემია**

**6 ოქტომბერი**

**ჯიქები-ყოჩები, ლოკომოტივი-ლელო, აია-არმაზი, არმია-ხარები, ბათუმი XV-აკადემია**

**13 ოქტომბერი**

**ლელო-ჯიქები, ლოკომოტივი-არმაზი, ხარები-აია, აკადემია-არმია, ყოჩები-ბათუმი XV**

**20 ოქტომბერი**

**ბათუმი XV-ჯიქები, არმაზი-ლელო, ლოკომოტივი-ხარები, აია-აკადემია, არმია-ყოჩები**

**27 ოქტომბერი**

**ჯიქები-არმაზი, არმია-ბათუმი XV, ყოჩები-აია, აკადემია-ლოკომოტივი, ხარები-ლელო.**

**II წრე**

**3 ნოემბერი**

**ჯიქები-არმია, ბათუმი XV-აია, ყოჩები-ლოკომოტივი, აკადემია-ლელო, ხარები-არმაზი.**

**1 დეკემბერი**

**ჯიქები-ხარები, აია-არმია, ლოკომოტივი-ბათუმი XV, ლელო-ყოჩები, არმაზი-აკადემია**

**8 დეკემბერი**

**აია-ჯიქები, არმია-ლოკომოტივი, ბათუმი XV-ლელო, ყოჩები-არმაზი, აკადემია-ხარები.**

● ლეგიონერები

# ბოლო ამბები სატრანსფერო ბაზრიდან

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ყველა დივიზიონში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. უკვე ვწერდით, რომ მომავალი სეზონიდან ელიტურ, პირველ და მეორე დივიზიონებში ქართველი მორაგბეების სარეკორდო რაოდენობა ითამაშებს.**

შესაბამისად, შედარებით ცოტა დარჩა ისეთი, ვინც ფედერალ დივიზიონებში მოთამაშე კლუბების ღირსებას დაიცავს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ფედერალ 1 დივიზიონის „მონლუსონი“ დატოვა და „კოლომიეში“ გადაბარგდა პირველხაზელი **ელიზბარ ყუფარაძე.** სამწუხაროდ, ელიტური, პირველი დივიზიონის „აჟენის“ დატოვება მოუწია შერკინების ბურჯ **ბექა შეყლაშვილს**, რომელმაც კონტრაქტი მეორე დივიზიონის „ბეზიესთან“ გააფორმა.

დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო საქართველოს ნაკრების რამდენიმე უკანახაზელის მომავალი გუნდის ვინაობა. მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი,** ისევ ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „სენ ჟუნიენში“ დარჩა. შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** კი მეორე დივიზიონიდან ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითებულ „პერიგოსთან“ გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

ფედერალ 1 დივიზიონში ითამაშებს შუამარბი **რეზო გიგაური.** მან „ბლანიაკი“ დატოვა და „მონლუსონს“ მიაშურა, რომელშიც ამჟამად **დევი დათუნაშვილი** ირიცხება. ამავე დივიზიონში განაგრძობს კარიერას საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი შუამარბი **დავით კაჭარავა**, რომელმაც შარშანდელი სეზონი „ნიცაში“ გაატარა. კაჭარავას ახალი გუნდი „როდეზია“.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ დასასრულს მიუახლოვდა დავა **მამუკა გორგოძის** თაობაზე ფრანგულ კლუბებს „ტულონსა“ და „მონპელიეს“ შორის. შეგახსენებთ, რომ ტულონელთა მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** წინასწარი კონტრაქტის დარღვევის გამო გოროგძისგან 500 ათას ევროს ითხოვდა. სასამართლოს რამდენიმე სხდომის შემდეგ, დაპირისპირებული კლუბების ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია. გადაწყდა, რომ ჯარიმის სახით, „მონპელიე“ „ტულონს“ 120 ათას ევროს გადაუხდის.

● ერთა თასი

# რუსებთან წითელ არმიას გავიხსენებთ

**საქართველოს ნაკრები 2015 წელს ინგლისში გასამართავი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში 2013 წლის 2 თებერვლიდან ჩაერთვება. FIRA AER-მა გამოაქვეყნა ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდარი, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის პირველი წრეა.**

„ბორჯღალოსნების“ პირველი მეტოქე გასვლით შეხვედრაში ბელგიის ეროვნული გუნდი იქნება, რომელიც ერთა თასის გათამაშების დებიუტანტია. ბელგიელებმა რანგით დაბალ დივიზიონში გაიმარჯვეს და ჩვენთან ხელმოცარული უკრაინა ჩაანაცვლეს.

ფლამანდრების გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფრანგი მორაგბეებითაა გაძლიერებული, ფავორიტად, ცხადია, არ მიიჩნევა და ძნელი სავარაუდოა, მსოფლიოს თასზე ასპარეზობის პრეტენზია ჰქონდეს. სამაგიეროდ, მუდმივად ამბიციურია პორტუგალიის ნაკრები, რომელსაც თბილისში 9 თებერვალს დავუპირისპირდებით.

„ბორჯღალოსნები“ 2013 წლის ერთა თასზე შინ სულ ორ შეხვედრას გამართავენ. პორტუგალიის გარდა, ისინი 9 მარტს ბოლო ხანს მოღონიერებულ ესპანეთს დაუპირისპირდებიან, რომელთანაც წლეულს განცდილი მარცხის გამო რევანში აუცილებლად უნდა ავიღოთ.

ტრადიციულ, პრინციპულ მეტოქეს რუსეთის ეროვნულ გუნდს, წითელი არმიის დაბადების დღეს, 23 თებერვალს სტუმრად ვეთამაშებით. მატჩი, სავარაუდოდ, სოჭში გაიმართება. ალსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრების შეხვედრების განრიგი IRB-ს ოფიციალურ ფანჯარას ემთხვევა. ზუსტად ამ დღეებში გაიმართება ექვსი ერის გათამაშების მატჩებიც.

თუმცა, 9 და 23 თებერვალს, ასევე 9 მარტს, როცა „ბორჯღალოსნები“ შესაბამისად პორტუგალიის, რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებებს ეთამაშებიან, საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონში კალენდარული მატჩებია დანიშნული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ნაკრების მოთამაშეების გარკვეულ ნაწილს ეროვნულ გუნდში სათამაშოდ კლუბებისგან პრობლემები შეექმნებათ. არადა, „ბორჯღალოსანთა“ აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ ამ დივიზიონებში ირჯება.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება, ისევე როგორც შარშან, სამხრეთული სისტემით გაიმართება. გამარჯვებული 4 ქულას მიიღებს, ხოლო თუ მეტოქეს ოთხ და მეტი ლელოს გაუტანს, ერთ პრემიალურ ქულასაც დაიმსახურებს. წეირი ნაგებულსაც შეიძლება ჰქონდეს. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მატჩს შვიდი და ნაკლები ქულის სხვაობით დათმობს. ფრეზე გუნდები ორ-ორ ქულას მიიღებენ.

2015 წელს ინგლისში გასამართავი მსოფლიოს თასის საგზურს ორი საუკეთესო გუნდი ავტომატურად მიიღებს. მესამეადგილოსანს კი რეპეშაჟში მოუწევს ჩართვა - ანუ ჯერ აფრიკის კონტინენტზე მოერე ადგილზე გასული ქვეყნის ნაკრები უნდა დაამარცხოს, ხოლო შემდეგ სამხრეთ ამერიკის პრეტენდენტს, ურუგვაის ან ჩილეს უნდა დაუპირისპირდეს და სწორედ ამ ბარიერების დაძლევის შემდეგ შეძლებს ინგლისში გამგზავრებას.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებისთვის ამ გათამაშებაში ახალი არაფერია. მეტოქეები, დებიუტანტი ბელგიის გარდა, ყველა ძველი და კარგდა ნაცნობია. საგულისხმოა, რომ პორტუგალიის ნაკრების გარდა, ყველა მოწინაალმდეგის რიგებში წარმოშობით ქართველი მორაგბეები თამაშობენ.

სავარაუდოდ, ამ და სხვა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა, ჩვენს გუნდს მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვებაში ხელი ვერ უნდა შეუშალოს. ვფიქრობთ, მთავარი ისაა, წილისყრა ინგლისში მეტოქედ რომელ გუნდებს გვარგუნებს. და კიდევ, რამდენად დროულად შეძლებენ ახალზელანდიელი მწვრთნელები ნაკრებში ახალი სტილის დანერგვას და ხარისხობრივად ბევრად უკეთეს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ოთხ ჯგუფში, ის 12 გუნდი, რომლებმაც ასპარეზობის უფლება ახალ ზელანდიაში შარშან გამართულ მსოფლიოს თასზე მოიპოვეს, წლეულს დეკემბრის დასაწყისში განაწილდება.

**ერთა თასი 2013**

**2 თებერვალი**

**ბელგია-საქართველო, პორტუგალია-რუმინეთი, რუსეთი-ესპანეთი**

**9 თებერვალი**

**საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-რუსეთი, ბელგია-ესპანეთი**

**23 თებერვალი**

**რუსეთი-საქართველო, ესპანეთი-რუმინეთი, პორტუგალია-ბელგია**

**9 მარტი**

**საქართველო-ესპანეთი, პორტუგალია-რუსეთი, ბელგია-რუმინეთი**

**16 მარტი**

**რუმინეთი-საქართველო, ესპანეთი-პორტუგალია, რუსეთი-ბელგია.**


საქართველო-პორტუგალია

● მსოფლიოს თასი

# მადაგასკარი მწვერვალისკენ მიილტვის

ინგლისში 2015 წელს გასამართავი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირი უკვე დაიწყო აფრიკის კონტინენტზე, სადაც ერთი სენსაციური შედეგი უკვე დაფიქსირდა.

აფრიკაში შესარჩევი ტურნირის ბადე საკმაოდ ჩახლართულადაა აგებული და საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა ორი წლის შემდეგ 2014 წელს გაირკვევა. ამ კონტინენტიდან მსოფლიოს თასზე ზედიზედ ხუთჯერ ნამიბიის ნაკრებმა გააღწია (სამხრეთ აფრიკის ნაკრები იქ მუდამ ავტომატურად ხვდება). ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნამიბიელები, შესაძლებელია, მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის მიღმა დარჩნენ. „არნივებს“ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში, სრულიად უჩვეულო ანგარიშით 57:54 მადაგასკარის ნაკრებმა სძლია. თამაშს 35 ათასი მაყურებელი დაესწრო, რაც ამ ქვეყნისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია.

ახლა მადაგასკარელები აფრიკის თასის გათამაშების 1A დივიზიონში დაწინაურდნენ, სადაც ტუნისის, კენიის, უგანდისა და ზიმბაბვეს ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. მარცხის მიუხედავად, მსოფლიოს თასზე მოხვედრის შანსი არც ნამიბიელებს დაუკარგავთ. საამისოდ მათ გაისად გასამართავი ტურნირი უნდა მოიგონ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

london 2012




კობი ნაკრების შეკრებაზე

# თავხედი კობი

საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა აშშ-ის საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **კობი ბრაიანტმა.** "ლეიკერსის" მცველის თქმით, ამერიკის დღევანდელი გუნდი შეძლებდა 1992 წლის ლეგენდარული "დრიმ თიმის" დამარცხებას.

*"რა თქმა უნდა, იმ გუნდში უდიდესი კალათბურთელები თამაშობდნენ. იქ იყვნენ დევიდ რობინსონი, კარლ მელოუნი, პატრიკ იუინგი და სხვები. მაგრამ ბევრი მათგანი ვეტერანი გახლდათ და ახლოს იყვნენ კარიერის დასრულებასთან.*

*ჩვენ კი ახალგაზრდების გუნდი გვყავს, რომელსაც ერთი სული აქვს, როდის ჩაებმება ბრძოლაში. ვფიქრობ, ძალიან რთული იქნებოდა, მაგრამ შევძლებდით მათ დამარცხებას"*, - განაცხადა ბრაიანტმა.



ჩინეთის ნაკრები პეკინში

# პატარა ჩინეთი და დიდი ამერიკა

ლონდონის ოლიმპიადაზე ყველაზე წარმომადგენლობითი ნაკრები ამერიკას ეყოლება – ეს ქვეყანა ზაფხულის თამაშებზე 530 სპორტსმენს მიავლენს. საინტერესოა, რომ გუნდში ქალი სპორტსმენი უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცი: 269 261-ის წინააღმდეგ.

*"ისინი დიადი ათლეტები არიან, რომლებიც გამოხატავენ, თუ რას ნიშნავს იყო ამერიკელი,* - განაცხადა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა **სკოტ ბლეკმენმა.** – *ასევე ვამაყობ იმით, რომ პირველად ისტორიაში გუნდში უფრო მეტი ქალია, ვიდრე მამაკაცი".*

ნაკრების ნახევარზე მეტი ოლიმპიადის დებიუტანტია, შვიდი სპორტსმენი მეხუთედ გამოვა თამაშებზე. ყველაზე გამოცდილი ოლიმპიელია 54 წლის **კარენ ო'კონორი** (ცხენოსნობა), ყველაზე ახალგაზრდა – 15 წლის მოცურავე **კეტი ლედეცკი.**

ამერიკის ნაკრებში 76 ოლიმპიური ჩემპიონია, 124-ს სხვა სინჯის მედალი აქვს მოგებული.

■ ■ ■

"მოკრძალებულია" ჩინეთის ნაკრების შემადგენლობა – ამ გუნდში 396 სპორტსმენია. ანუ ჩინეთს ლონდონში 240-ით ნაკლები სპორტსმენი ეყოლება, ვიდრე პეკინის ოლიმპიადაზე. რაოდენობით ეს არის მესამე ნაკრები ჩინეთის ისტორიაში. პეკინში ჩინელებმა 51 ოქროს მედლით პირველი ადგილი დაიკავეს. დღეს მათ გუნდში 29 ოლიმპიური ჩემპიონია.

სპორტსმენების რიცხვით ჩინეთს ალემატება ავსტრალია, რომელიც 410 სპორტსმენით არის წარმოდგენილი. თუმცა ეს ყველაზე პატარა დელეგაციაა გუნდისთვის ბოლო 20 წლის განმავლობაში.

სერიოზული მიზნები აქვს კორეის ნაკრებს, რომელიც 245 სპორტსმენისგან შედგება. ამ ქვეყნის ოლიმპიური ხელმძღვანელობა მინიმუმ 10 ოქროს გეგმავს და ამით საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ათეულში მოხვედრის იმედი აქვს. კორეელებმა ამგვარ შედეგს ბოლო ექვსი ოლიმპიადიდან ხუთჯერ მიაღწიეს.

კორეა 26 სახეობიდან 22-ში მიიღებს მონაწილეობას. გამონაკლისია კალათბურთი, ჩოგბურთი, ცხენოსნობა და ნიჩბოსნობა. ნაკრების მედროშე იქნება 39 წლის ხელბურთელი **იუნ კენ სინი,** რომლისთვისაც ლონდონის ოლიმპიადა მეხუთე იქნება კარიერაში.

პეკინის ოლიმპიადაზე კორეელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეშვიდე ადგილი დაიკავეს – მათ ანგარიშზე 13 ოქრო, 10 ვერცხლი და 8 ბრინჯაო იყო.

# ოქროს ზოდი ოქროს სანაცვლოდ

მალაიზიელი მილიარდერი **ენდრიუ კემი** ბადმინტონის დიდი თაყვანისმცემელია. ის სპორტის ამ სახეობაში მალაიზიის ნაკრებს ოქროს ზოდს დაჰპირდა, რომლის ღირებულება 630 ათას დოლარს შეადგენს. ბადმინტონისტები ამ ჯილდოს იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ლონდონში შეძლებენ თუნდაც ერთი ოქროს მედლის მოგებას.

მალაიზიელ სპორტსმენებს ბადმინტონში ოლიმპიურ ტურნირზე 1956 წლის შემდეგ არ გაუმარჯვიათ - ეს იყო ქვეყნის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ოქრო. მას შემდეგ, ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ორი ბრინჯაო და ორი ვერცხლი მიიღეს – ყველა ბადმინტონში.

მალაიზიის მთავარი იმედია პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ლუ იონგ ვეი,** თუმცა მან შეიძლება ვერ მოასწროს თამაშებისთვის მომზადება მაისში მიღებული ტრავმის გამო.

# გაიცანით ბოლტის მემკვიდრე

ბიბლიოთეკა

**როგორც ჩანს, სპრინტში სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს უსაინ ბოლტს მოუწევს იმ აზრთან შეგუება, რომ ის აღარ არის "სპრინტის მეფე". ამიტომაც მოახლოებული ოლიმპიადის წინ, დროა გავიცნოთ მისი მემკვიდრე, 22 წლის იოჰან ბლეიკი.**




იოჰან ბლეიკი

## ბოლტის საუკეთესო მეგობარი

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ **უსაინ ბოლტს** დიდად არ სიამოვნებს ის, რომ მის კარიერაში ხუთი მარცხიდან სამი ბლეიკთან დაპირისპირებაზე მოდის. არადა, ისინი მეგობრები და გუნდ Racers Track Club-ში პარტნიორები არიან. იოჰანი სამი წლით ახალგაზრდაა, მაგრამ უფროსი მეგობრის ჩრდილში დიდი ხანი არ დარჩენილა – 2011 წელს ბლეიკი წინა პლანზე გამოვიდა.

დაძაბულ კონკურენციას მხიარული იამაიკელების ურთიერთობაზე არ უმოქმედია - ისინი ისევ ხუმრობენ სტარტის წინ, ერთმანეთს და მწვრთნელ **გლენ მილერს** აჯავრებენ, შემდეგ ერთად მიდიან საყვარელი "გინესის" დასალევად.

ბლეიკი: *"ჩვენ კარგად ვეწყობით და ერთმანეთს მოტივაციაში ვეხმარებით. როცა უსაინი ხედავს, რომ რაღაცას არასწორად ვაკეთებ, ის მისწორებს, მეც არ ვრჩები ვალში. მასთან ერთად მუშაობა კარგია, ის გასწავლის არა მარტო სწრაფად, არამედ სწორად სირბილს".*

## ყველაზე ახალგაზრდა

სპრინტერისთვის ათწამიანი ბარიერი - იგივეა, რაც ოსკარი კინემატოგრაფიაში ან ნობელის პრემია მეცნიერებაში. მთელი ისტორიის განმავლობაში "ათი წამი კლუბში" შესვლა 82-მა მორბენალმა შეძლო. ზოგიერთმა (**კრისტოფ ლემეტრი, ასაფა პაუელი**) ეს 20 წლის ასაკში გააკეთა, სხვებმა, მაგალითად, **ლინფორდ კრისტიმ,** 30 წლის ასაკში.

ბლეიკი კი ისტორიაში შევიდა. ის არის ყველაზე ახალგაზრდა სპრინტერი, ვინც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა. მან 2009 წლის 10 ივლისს 9.96 წამი დააფიქსირა. იოჰანმა ერთი დღით გააუმჯობესა ნიგერიელი **სეუნ ოგუნკოის** რეკორდი. შედარებისთვის, ბოლტი პირველად 10 წამიდან 22 წლისა გამოვიდა, **ტაისონ გაი** – 24 წლის ასაკში, **სტივ მალინგსი** – 28 წლის. 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოგების შემდეგ, 21 წლის ბლეიკი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის გახდა 100 მეტრ დისტანციაზე. მანამდე ეს რეკორდი დიად **კარლ ლუისს** ეკუთვნოდა.

## კინაღამ დოპინგი

კარიერის დასაწყისში, სულ ნორჩი ბლეიკი უსიამოვნო სადოპინგო ისტორიაში გაეხვია. ის და კიდევ ოთხი იამაიკელი მძლეოსანი 2009 წელს ასთმის საწინააღმდეგო პრეპარატის – მეთილჰექსანამინის მიღებაში დაადანაშაულეს. ეს არ გახლავთ დოპინგი, მაგრამ იმ პრეპარატის ანალოგიურია, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ. როგორც შემდეგ იოჰანი იხსენებდა, მან მიიღო სპეციალური საკვები დანამატი, რომელსაც ეტიკეტზე დიდი ასოებით ეწერა – "პროდუქტი, რომელიც არ შედის აკრძალული პრეპარატების სიაში".

მაშინ იამაიკელები იოლად გადარჩნენ – ადგილობრივმა ანტისადოპინგო კომიტეტმა ისინი სამი თვით დასაჯა და მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატიდან მოკვეთა. თუმცა სწორედ მაშინ გაუფუჭდა იამაიკას რეპუტაცია და თითის გაშვერა დაიწყეს იქაური სპრინტერების მისამართით, თვით ბოლტიც არ დაინდეს.

## ექსტრავაგანტური და ცრუმორწმუნე მუშა

იამაიკელ მწვრთნელს გლენ მილსს, რომელმაც სირბილი ასწავლა ბოლტსაც და ბლეიკსაც, არაერთხელ უთქვამს, რომ ბლეიკი უფრო მეტად იხარჯება ვარჯიშებზე. ბოლტიც ეთანხმება: *"შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ის მართლაც უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე მე".* თუმცა, როცა გვერდიდან უყურებ "მეტიჩრულად" ჩაცმულ დაკუნთულ ბიჭს, რომელსაც უზარმაზარი ყურსასმენები უკეთია, ვერ იფიქრებ, რომ ის ზედმიწევნით მშრომელი ყმაწვილია.

ცრუმორწმუნე ბლეიკი მნიშვნელოვან სტარტამდე აღარ იჭრის ფრჩხილებსა და თმებს, რის გამოც **ფრედი კრუგერს** ემსგავსება. ახლაც, ლონდონის ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე, იოჰანმა, ალბათ, დაივიწყა მაკრატელი და დიდი ხანი არ მიაკითხავს სილამაზის სალონს.

## მათემატიკური პერსპექტივები

თანამედროვე სპრინტერების გიჟურმა შედეგებმა ექსპერტები ჩააფიქრა ადამიანის შესაძლებლობის ზღვარზე. ინგლისელმა პროფესორმა **ჯონ ბაროუმ** შეადარა ბოლტისა და ბლეიკის ტექნიკა და ფიზიკური მომზადება და უცნაურ დასკვნამდე მივიდა – იოჰანის პოტენციალი გაცილებით მაღალია.

იდეალური სასტარტო რეაქციისა და ზურგის ქარის პირობებში, უსაინის ზღვარი 9.44 წამი ყოფილა. რაც შეეხება ბლეიკს, ბაროუს აზრით, იოჰანს შეუძლია ამ შედეგს 4 მეასედი ჩამოაკლოს. ბლეიკის სუსტი წერტილია სასტარტო რეაქცია და 200 მეტრზე ვირაჟის გავლა, თუმცა თავად სპრინტერი ამ კომპონენტს თავის უპირატესობას უწოდებს. ბრიუსელში მისი შარშანდელი შედეგი (19.26) – მეორე დროა ისტორიაში ბოლტის რეკორდის (19.19) შემდეგ.

*"უკეთესი რეაქცია უნდა მქონდეს სასტარტო გასროლაზე. თუ ამ კომპონენტში მოვუმატებ, მაშინ შედეგი უფრო მაღალი იქნება. 200 მეტრს უკეთ გავრბივარ, რადგან უფრო ამტანი ვარ"*, - ამბობს ბლეიკი.

იოჰანი საკუთარ გამოსვლას კრიტიკულად უდგება. მაგალითად, დარწმუნებულია, რომ ტეგუში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით უკეთ შეეძლო გამოსვლა – სტარტზე 0.269 წამი დაკარგა.

## სარეკლამო ფეხები

სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მწარმოებელი კომპანიები დიდ ბრძოლას აწარმოებენ მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ათლეტების ხელში ჩასაგდებად. მას შემდეგ, რაც "პუმამ" თვით უსაინ ბოლტთან გააფორმა კონტრაქტი, კომპანიის პროდუქციის გაყიდვების რიცხვმა მკვეთრად მოიმატა. ამ მაგალითით შთაგონებულმა "ადიდასმა" თავიდანვე დაიბევა ბლეიკი – ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი ვარსკვლავობა ინინასწარმეტყველეს.

შესაძლოა, მაშინ, როცა ბოლტზე გამარჯვებები რეგულარულ სახეს მიიღებს, ბლეიკი უსაინს წაართმევს არა მხოლოდ დიდებასა და მსოფლიოს რეკორდებს, არამედ, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი მძლეოსნის სტატუსს. მაგრამ, ჯერჯერობით ბოლტი უფრო მაღლა დგას და ასე იქნება, მინიმუმ აგვიტოს პირველ რიცხვებამდე.

*"მინდა სპორტში სახელი დავიმკვიდრო. მოვა დრო და მძლეოსნობიდან წავალ, მაგრამ თუ ლეგენდა გავხდები, მე სამუდამოდ დამიმახსოვრებენ"*, - ამბობს ბლეიკი.

# ფედერერის ფიქრები



მედროშე ფედერერი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი და 2012 წლის უიმბლდონის ჩემპიონი **როჯერ ფედერერი** ჯერ ისევ ფიქრობს – დათანხმდეს თუ არა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე შვეიცარიის ოლიმპიური ნაკრების მედროშეობას.

*"მე შემომთავაზეს გახსნის ცერემონიაზე დროშის ტარება, თუმცა, შესაძლოა, ეს უფლება სხვას გადავაბარო. ჯერჯერობით ეს საკითხი განხილვის პროცესშია,* - ამბობს ფედერერი. – *საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ უახლოეს ათ დღეში ეს საკითხი გაირკვევა".*

შეგახსენებთ, რომ ფედერერი შვეიცარიის ნაკრების მედროშე ორჯერ იყო: 2004 წელს ათენში და 2008 წელს პეკინში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. ახალი ამბები


პაბლო პრიჯიონი

# მოთხოვნა უცხოელებზე

35 წლის არგენტინელი ვეტერანი **პაბლო პრიჯიონი** ერთ სეზონს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაატარებს.

არგენტინის ნაკრების გამთამაშებელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ნიუ იორკ ნიქსთან". კალათბურთელის აგენტის თქმით, მოთამაშის ხელფასი 473 ათასი დოლარი იქნება.

თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთმა ყველაზე გონიერმა მოთამაშემ მთელი კარიერა ესპანეთში გაატარა. ის შვიდი წელი თამაშობდა "კახა ლაბორალში". ახლა კი პრიჯიონიმ NBA-ში თავის გამოჩენის შანსი მიიღო. სავარაუდოდ, არგენტინელი "ნიქსში" კიდევ უფრო გამოცდილი **ჯეისონ კიდის** დუბლიორი იქნება.

გასულ სეზონში პრიჯიონი ესპანეთის ჩემპიონატში საშუალოდ 6.6 ქულასა და 3.9 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

აქტიურად მოქმედებს ევროპის სატრანსფერო ბაზარზე "პორტლენდი". გუშინ, ამ კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ნილ ოლშიმ** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ "ბლეიზერსმა" ესპანელი ფორვარდი **ვიქტორ კლავერი** გაიფორმა. თუმცა კონტრაქტის დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

კლავერის "პორტლენდში" გადასვლა გასაკვირი არ არის - სამი წლის წინ, სწორედ ამ გუნდმა აირჩია დრაფტზე ეს ესპანელი. ამ დღეებში კლავერი ოფიციალურად დაშორდა "ვალენსიას" და NBA-ში იწყებს კარიერას. "პორტლენდში" მისი სათამაშო ნომერი 18 იქნება.

"ბლეიზერსის" კიდევ ერთი სამიზნეა ბრიტანელი ფორვარდი **ჯოელ ფრილენდი**. კალათბურთელს ერთი ნაბიჯი აკლია სანუკვარ კონტრაქტამდე. პრობლემას წარმოადგენს ესპანეთის "უნიკახასთან" კონტრაქტი, რომლის ღირებულებაა 1.5 მილიონი ევრო. ამერიკული პრესის ცნობით, ჯოელი მზად არის თავად გამოისყიდოს ეს ხელშეკრულება. ახლა მხარეები აქტიურად მუშაობენ ბოლო დეტალებზე.

■ ■ ■

რადგან **კრის კამანი** გერმანიის ნაკრების წევრად ითვლება, მის შესახებ ახალ ინფორმაციას აქვე შემოგთავაზებთ. გუშინ, ამ მძიმე ფორვარდმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "დალას მავერიქსთან" და გერმანიის ნაკრებში თავისი პარტნიორის, **დირკ ნოვიცკის** მხარდამხარ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი კამანმა "ნიუ ორლეანის" რიგებში გაატარა, თუმცა ტრავმის გამო მხოლოდ 47 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 13.1 ქულა და 7.7 მოხსნა მიითვალა.

# სუპერმენი აღარ იცვლება

გუშინ გაირკვა, რომ "ორლანდო მეჯიქის" ცენტრის **დუიატ ჰოვარდის** "ბრუკლინ ნეტსში" ტრანსფერი არ შედგება. ამას ორი ინფორმაცია ადასტურებს.

პირველი ცნობის თანახმად, "ბრუკლინმა" შეთანხმებას მიაღწია თავის ძირითად ცენტრთან - **ბრუკ ლოპესთან**. ამ კალათბურთელთან მაქსიმალური კონტრაქტი გაფორმდება - ოთხი წელი და 61 მილიონი დოლარი.

შესაბამისად, ლოპესის ჩართვა დუაიტ ჰოვარდის სავარაუდო ტრეიდში უკვე მომავალი წლის 15 იანვრამდე შეუძლებელი იქნება.

მეორე ინფორმაცია "ორლანდოს" ბანაკიდან გავრცელდა. ამ კლუბის ხელმძღვანელობამ ჰოვარდის გაცვლის შესახებ ნებისმიერი მოლაპარაკების დასრულება გადაწყვიტა. "მეჯიქის" შეფობას არ მოეწონა არც ერთი წინადადება, რომელიც NBA-ის რამდენიმე კლუბისგან მიიღო. კერძოდ, ლიგის საუკეთესო ცენტრის ხილვა თავის რიგებში "ბრუკლინის" გარდა, "ლეიკერსსა" და "ჰიუსტონს" სურდათ.

კლუბის ხელმძღვანელებმა უკვე აცნობეს "სუპერმენს" თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ.


ბრუკ ლოპესი

კრივი

# ამხანაგური ჩხუბი ლონდონში

სკანდალურად ცნობილმა ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსნებმა – **დევიდ ჰეიმ** და **დერეკ ჩისორამ** ბოლო პრესკონფერენცია ჩაატარეს შაბათს დანიშნული ბრძოლის წინ. შეგახსენებთ, რომ ისინი 14 ივლისს, ლონდონში, "ვესტ ჰემის" საფეხბურთო სტადიონზე შეხვდებიან ერთმანეთს. ბრძოლა, რომლისგანაც შორს დაიჭირეს თავი ბრიტანეთის საკრივო საბჭომ და მსოფლიოს საკრივო კავშირმა (WBC), ფაქტობრივად, "ამხანაგურია". მოკრივეებმა ლუქსემბურგის პროფესიული კრივის ფედერაციისგან მიიღეს ლიცენზიები და ერთმანეთში ნაკლებად პრესტიჟული WBO International-ის ტიტულს გაითამაშებენ.

მიუხედავად ამისა, ამ ბრძოლას იმაზე დიდი ინტერესით ელიან, ვიდრე ძმები **კლიჩკოების** ბოლოდროინდელ შეხვედრებს. ინგლისელებს იმედი აქვს, რომ რომელიმე მათი თანამემამულე ლონდონის ბრძოლის შემდეგ, უკვე ნამდვილ საჩემპიონო შეხვედრაში დაუპირისპირდება **ვიტალი** ან **ვლადიმერ** კლიჩკოს.

ჰეიც და ჩისორაც ძალიან მოტივირებულნი არიან. დევიდს სურს დიდი ხნით დაივიწყოს ის დღე, როცა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, დერეკს კი უნდა დიდ კრივში დაბრუნება მას შემდეგ, რაც თებერვალში, მიუნხენის რინგზე საკმაოდ კარგი ბრძოლა ჩაატარა ვიტალი კლიჩკოს წინააღმდეგ.

იმ ბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერანციაზე ჰეისა და ჩისორას შორის ამტყდარი ჩხუბის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. მას შემდეგ, ოფიციალურ ღონისძიებებზე დევიდსა და დერეკს შორის მეტალის ბარიერს დგამენ. ასე იყო ივნისის დასაწყისში გამართულ პრესკონფერენციაზე და ამჯერადაც ასე მოიქცნენ ორგანიზატორები.

*"რინგზე მაქსიმალურად არაჭარმალური ვიქნები. ასეთი განწყობა არასოდეს მქონია,* - განაცხადა ჩისორამ, რომელიც დრო და დრო სახეს ბრიტანეთის დროშის ფერებში გადაწყვეტილი ცხვირსახოცით იფარავდა. – *მზადების მთელმა პროცესმა შესანიშნავად ჩაიარა, ტრავმა არ მაქვს და ეს ბრწყინვალე ბრძოლა იქნება".*

ჰეიმ მომავალ მეტოქეს იმით უპასუხა, რომ მას რინგზე ნოკაუტს დაჰპირდა.

*"რაც უფრო წინ წავა, მით უფრო მალე შედგება ნოკაუტი,* - ამბობს ჰეი, რომელმაც ასევე დაიტრაბახა იდეალურად ჩატარებული მოსამზადებელი პროცესის გამო. – *მე ჯანმრთელი ვარ, ძლიერი და სწრაფი. ვარჯიშების დროს შევასრულეთ ყველაფერი, რაც დაგეგმილი გვქონდა. არაფერი გამოგვრჩენია. ასეთი შეგრძნება არასოდეს მქონია და ამას ჩემი მწვრთნელები და სპარინგ-პარტნიორებიც ხედავდნენ. ძალიან მოტივირებული ვარ და დერეკისთვის სამწუხაროდ, ის რინგზე საუკეთესო "ჰეიმეიკერის" წინააღმდეგ გავა".*

ჰეის მწვრთნელმა **ადამ ბუტმა** აღნიშნა, რომ მომავალ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შეგირდის პირად დამოკიდებულებას ჩისორას პიროვნებისადმი.

*"დევიდს ის მთელი არსებით სძულს. მის სიძულვილს ვიყენებდი იმისთვის, რომ ბრძოლისთვის კარგად მომემზადებინა",* - ამბობს მწვრთნელი.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ბრძოლის ჰონორარი 5 მილიონი დოლარია და უკვე ცნობილია, რომ ამ თანხის ნახევარზე მეტს ჰეი მიიღებს. უკვე გაყიდულია ბრძოლაზე დასასწრები 29 ათასი ბილეთი.


ჰეი და ჩისორა

# ჰატონი რევანშისთვის ბრუნდება

ცნობილი ბრიტანელი მოკრივე, 33 წლის **რიკი ჰატონი** დიდ კრივში დაბრუნებას აპირებს. ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი 2009 წლის შემდეგ არ გასულა რინგზე, მაგრამ ამჯერად სერიოზულად ფიქრობს დაბრუნებაზე. როგორც ბრიტანული პრესა წერს, ჰატონის მიზანია **პოლ მალინიაჯისთვის** რევანშის შანსის მიცემა. ეს უკანასკნელი ამჟამად WBA-ის ჩემპიონია ნახევრადსაშუალო წონაში. ჰატონისა და მალინიაჯის ბრძოლა 2008 წელს გაიმართა და ბრიტანელმა გაჭირვებით მოიგო.

როგორც ირკვევა, ბოლო პერიოდში რიკი აქტიურად მუშაობდა წონის დაგდებისთვის და რჩევებს იღებდა თავისი გარემოცვისგან სავარაუდო დაბრუნების შესახებ.

*"ის დამარცხება ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო,* - ამბობს მალინიაჯი. – *ყოველდღე ვფიქრობდი იმაზე, რა შეიძლებოდა მაშინ უკეთ გამეკეთებინა. მაგრამ წარსულს ველარ დააბრუნებ. რაც შეეხება რევანშს, ეს სწორედ ის არის, რაც მე მჭირდება. ჰატონს პატივს ვცემ. მას უნდა ტიტულისა და ძველი დიდების დაბრუნება. მაგრამ ახლა, ჩემი დროა და ვიცი, რომ შემიძლია რიკი ჰატონის დამარცხება".*

■ ■ ■

ვებგვერდი BoxingScene.com წერს, რომ 25 წლის ბრიტანელ **ამირ ხანს** პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ისა და IBF-ის ტიტულები დაუბრუნეს. ბრიტანელმა ეს საჩემპიონო ქამრები გასული წლის დეკემბერში დაკარგა, როცა მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებით წააგო ამერიკელ **ლამონტ პიტერსონთან**.

რევანშის წინ, რომელიც მაისში უნდა ჩატარებულიყო, პიტერსონმა დოპინგტესტი ჩააგდო. ამის გამო ხანს ტიტულები დაუბრუნეს. შესაბამისად, ხვალ დანიშნული ბრძოლა WBC-ის ჩემპიონთან, 24 წლის ამერიკელ **დენი გარსიასთან** ტიტულების გამაერთიანებელი შეხვედრის სტატუსს მიიღებს.


რიკი ჰატონი

ამბები

მოტოსპორტი

## სტოუნერს შემცვლელი უპოვეს

როგორც იცით, ამ სეზონის შემდეგ ასრულებს კარიერას მოტოგრანპრიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი**. მისმა გუნდმა "ჰონდამ" დაახლოებით ორი თვე ეძება სტოუნერის შემცვლელი და უკვე ჩამოყალიბდა ამ საკითხთან დაკავშირებით. გაისად, Moto2-ის კლასიდან მოტოგრანპრიში გადავა ესპანელი **მარკ მარკესი**. ასე რომ, 2013 წლის ჩემპიონატში "რეპსოლ ჰონდას" შემადგენლობა მთლიანად ესპანური იქნება: **დანი პედროსა** და მარკ მარკესი.

*"ეს ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულებაა. მინდა მადლობა გადავუხადო "ჰონდას" ამ ნდობისთვის,* - ამბობს მარკესი. - *ამაყი ვარ იმის გამო, რომ "ჰონდას" ოჯახის წევრი გავხდი. არასოდეს დავივიწყებ იმ ადამიანებს, რომლებიც დამეხმარნენ ამ მწვერვალზე ასვლაში".*

ჰოკეი

## როი ნოემბრამდე ვერ ითამაშებს

"დალას სტარზის" ახალწვეული, ფორვარდი **დერეკ როი** ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, ნოემბერში შეძლებს ვარჯიშის დაწყებას.

*"ის მთელი გასული სეზონი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა. მაგრამ გვინდა ის საუკეთესო ფორმაში ვიხილოთ, ამიტომაც მშვიდად მივიღეთ ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც, ვფიქრობთ ოპტიმალურია",* - ამბობს "დალასის" გენერალური მენეჯერი **ჯო ნიუენდაიკი**.

როი "ბაფალოდან" "დალასში" ტრეიდის შედეგად აღმოჩნდა – ის **სტივ ოტსა** და **ადამ პარდიში** გაცვალეს. დერეკმა შარშან, რეგულარულის 80 მატჩში 44 ქულა (17+27) დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ველოსპორტი

# ჩვეულებრივი ეტაპი



ტომას ფიოკლერი

ტურ დე ფრანსზე დასვენების დღის შემდეგ გამართულ ეტაპზე, რომელზეც დებიუტი ჰქონდა "გრან კოლომბიეს" მთას (არ უნდა აგვერიოს ჩვეულებრივ "კოლომბიეში", რომელიც ამ მწვერვალის გვერდითაა), სამთო ფინიში არ იგეგმებოდა. თუმცა ველომრბოლებს მაინც სერიოზული გამოცდა ელოდათ. ხანდახან, სწორედ ასეთ ეტაპებზე აგებენ ხოლმე გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტები ათ ან თხუთმეტ წუთს, რაშიც დამნაშავე სწორედ დასვენების დღეა.

ამჯერად, ამგვარი "ტრაგედია" არ გვინახავს, არც "თიმ სქაისგან" ყოფილა სერიოზული შეტევები. გაქცევის მცდელობა ჰქონდა **ფრანჩესკო ნიბალის** – მან ისარგებლა დაღმართის გავლისას თავისი უპირატესობით, თუმცა ბრიტანელებმა ის არ გაუშვეს. მოკლედ, ფინიშზე **იურგენ ვან დენ ბრეკის** მცირე უპირატესობას თუ არ ჩავთვლით, გენერალურ კლასიფიკაციაში სიტუაცია არ შეცვლილა. ისევ ვიხილეთ "თიმ სქაის" დომინაცია, რომელიც კვლავ ძლიერად გამოიყურებოდა.

სამაგიეროდ, ძალიან საინტერესო იყო ეტაპზე გამარჯვებისთვის ბრძოლა. ერთმანეთში ურთიერთობას არკვევდა გაქცეული 23 ველომრბოლი. მათი ჯგუფი "გრან კოლომბიეზე" ასვლისას დაიშალა. მესამე კატეგორიის სირთულის ბოლო აღმართზე აშკარად გამოიკვეთა ოთხი მრბოლელისგან შემდგარი ჯგუფი. სწორედ მათ უნდა გაეთამაშებინათ ეტაპზე პირველობა. თუმცა **ტომას ფიოკლერს, დრის დევენინსს, ლუის ლეონ სანჩესსა** და **მიკელე სკარპონის იენს ფოხტიც** "აეკიდა". ვეტერანმა გერმანელმა მაშინვე შეტევა სცადა. მან ბოლომდე ვერ გაძლო, თუმცა ბელგიელი დევენინსის იერიშს კარგად უპასუხა და მესამე ადგილი დაიკავა. ყველას კი ტომას ფიოკლერმა აჯობა, რომელმაც ძალიან ლამაზი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა საფრანგეთის გმირის სტატუსი.

**X ეტაპი**

1. **ტომას ფიოკლერი** (საფრანგეთი - Europcar); 2. **მიკელე სკარპონი** (იტალია - Lampre-ISD) - +0,03; 3. **იანს ფოხტი** (გერმანია - RadioShack-Nissan) - +0,07; 4. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპანეთი - Rabobank) - +0,23; 5. **დრის დევენინსი** (ბელგია - Omega Pharma-Quick Step) - +0,30; 6. **სანდი კასარი** (საფრანგეთი - FDJ) - +2,44; 7. **ეგოი მარტინესი** (ესპანეთი - Euskaltel-Euskadi); 8. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar); 9. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol); 10. **დმიტრი ფოფონოვი** (ყაზახეთი – "კატიუშა") - +2,52...

**საერთო ჩათვლა**

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +1,53; 3. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +2,07; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,23; 5. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +3,02; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +3,19; 7. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - RadioShack-Nissan) - +4,23; 8. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +4,48; 99. **ნიკოლას როში** (ირლანდია - Ag2r La Mondiale) - +5,29; 10. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +5,31...

# არმსტრონგს მწვრთნელი აღარ ჰყავს

აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტო მხოლოდ **ლენს არმსტრონგს** არ ებრძვის. გახმაურებულ საქმეში ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის გარდა, სამი ექიმი (**მიკელე ფერარი, პედრო სელაიე** და **ლუის გარსია დელ მორალი**), მწვრთნელი **პეპე მარტინი** და ლენსის ყოფილი გუნდის მენეჯერი **იოჰან ბრუნელი** გადიან.

და აი, გუშინ ანტისადოპინგო სააგენტომ სადოპინგო კოდექსის ოთხი წესის დარღვევაში (მათ შორის დოპინგის გამოყენება, შენახვა და დანაშაულის დამალვა) დაადანაშაულა მარტინი, დელ მორალი და ფერარი და მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

■ ■ ■

დროზე განცალკევებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა **ტონი მარტინმა** უარი თქვა ტურ დე ფრანსის გაგრძელებაზე. ამის მიზეზი გახდა მაჯის ტრავმა, რომელიც მან ერთ-ერთ ეტაპზე დაცემისას მიიღო.

*"ჩემთვის რთულია ტურ დე ფრანსზე უარის თქმა და საკუთარი პარტნიორების მიტოვება, მაგრამ ახლა ეს სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია.*

*ეს ოლიმპიადის გამო გავაკეთე. ვიცი, რთული იქნება ტრავმის მოშუშება და ლონდონამდე ფორმაში ჩადგომა, მაგრამ ვეცდები ამის გაკეთებას"*, - განაცხადა მარტინმა.

■ ■ ■

გუშინ, ტური კიდევ ერთმა ცნობილმა ველომრბოლმა დატოვა. ეს გახლავთ "რედიოშეკის" ერთ-ერთი ლიდერი **ფაბიან კანჩელარა**. თუმცა მისი გადაწყვეტილების მიზეზი სულ სხვაა – ფაბიანის მეუღლე სულ მალე მეორე ბავშვს გააჩენს, ამიტომაც შვეიცარიელ ველომრბოლს ცოლთან ყოფნა სურს.



ფაბიან კანჩელარა

*"მე არ ვარ გუნდის ერთადერთი წევრი. სამაგიეროდ, ვარ ქმარი და მამაც. მალე კიდევ ერთი შვილი მეყოლება, - აღნიშნა კანჩელარამ. – ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილება იყო. მინდა ჩემს მეუღლესთან – სტეფანისთან ერთად ვიყო, როცა მეორე ბავშვი გაჩნდება"*.

● წლის ლაურეატები

# სამგზის საუკეთესო ლებრონი



ნოვაკი და მარია

ლოს ანჯელესში გაიმართა ESPY-ის ყოველწლიური პრემიის გადაცემის ცერემონია, რომელიც წელს მეოცედ გაიმართა.

სალამოს ტრიუმფატორი გახდა "მაიამი ჰიტის" კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც სამი ჯილდო მოიპოვა – "წლის სპორტსმენი", "წლის ჩემპიონი" და "NBA-ის საუკეთესო მოთამაშე". ამასთან, "მაიამი" "წლის გუნდი" გახდა.

"წლის პროგრესის" ჯილდო მოიპოვა "ნიუ იორკის" კალათბურთელმა **ჯერემი ლინმა**.

"წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად" დასახელდნენ – მამაკაცებში სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ქალებში რუსი **მარია შარაპოვა**.

"ყველაზე მოულოდნელ გამარჯვებად" აღიარეს სტენლის თასზე "ლოს ანჯელეს კინგზის" ტრიუმფი, ხოლო ამ გუნდის მეკარე **ჯონათან კუიკი** "NHL-ის საუკეთესო მოთამაშედ" დაასახელეს.

"საუკეთესო უცხოელი სპორტსმენი" გახდა "ბარსელონას" ფეხბურთელი **ლეონელ მესი**.

"წლის საუკეთესო მოკრივისთვის" განკუთვნილი პრიზი ერგო ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს**.

"ამერიკის საფეხბურთო ლიგის (MLS) საუკეთესო მოთამაშეა" "ლოს ანჯელეს გელაქსის" ინგლისელი ლეგიონერი **დევიდ ბექჰემი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**UNDER19. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-საბერძნეთი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 2:2 პენ. 3:3 |

**ევროპის ლიგა**

**I საკვ. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჟეტისუ-ლეხი | 1:1 (0:2) |
| ორდაბასი-იაგოდინა | 0:0 (1:0) |
| შირაქი-რუდარი | 1:1 (1:0) |
| მეტალურგი-ბირკირკარა | 0:0 (2:2) |
| განძასარი-სტეიმური | 2:0 (1:3) |
| სელიკი-ზორაცი | 1:1 (2:2) |
| დაუგავა-სუდუვა | 2:3 (1:0) |
| გომელი-ვიკინგური | 4:0 (6:0) |
| ინტერი (ბ)-ტრანს ნარვა | 2:0 (5:0) |
| ჟონესი-ოლიმპია | 0:3 (0:3) |
| მეტალურგსი-ლა ფიორიტა | 4:0 (2:0) |
| შიაულიაი-ლევადია | 2:1 (0:1) |
| მიუპა-სეფნი | 5:0 (0:0) |
| ზიმბრუ-ბანგორი | 2:1 (0:0) |
| კალმარი-კლიფტონვილი | 4:0 (0:1) |
| რუსენბორგი-კრუზეიდერსი | 1:0 (3:0) |
| სტაბეკი-იუვიასკიულა | 3:2 (0:2) |
| ესხენი-ჰაფნარი | 0:1 (1:2) |
| შენიცა-მტკ | 2:1 (1:1) |
| ჰიბერნიანსი-სარაევო | 4:4 (2:5) |
| ლანელი-კუოპიო | 1:1 (1:2) |
| რუნავიკი-დიფერდანჟი | 0:3 (0:3) |
| უე სანტა კოლომა-ტვენტე | 0:3 (0:6) |
| მურა-ბაკუ | 2:0 (0:0) |
| ოსიეკი-ფკ სანტა კოლომა | 3:1 (1:0) |
| პუბლიკუმი-დაჩია | 0:1 (0:1) |
| ზეტა-პიუნიკი | 1:2 (3:0) |
| ჰონვედი-ფლამურტარი | 2:0 (1:0) |
| ლიბერტასი-რენოვა | 0:4 (0:4) |
| ტორი-ბოჰემიანსი | 5:1 (0:0) |
| ვესტმანაიეარი-სტ. პატსი | 1:0 დ.დ. 2:1 (0:1) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (მ)-ბურსა | 3:1 |
| სპარტაკი-ვიქტორია | 2:1 |
| აალენი-პრშიბრამი | 0:0 |
| კეჩმეკეტი-მაკაბი (ნ) | 2:2 |
| მიუნხენი-დუისბურგი | 4:0 |
| ვეენი-მაინცი | 0:4 |
| აიაჩო-ბასტია | 1:2 |
| სერკლი-რუზელარე | 1:0 |

**ავსტრიის თასი**

| | |
|---|---|
| თიმ ვენა-ალტახი | 0:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-რეიკიავიკი | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2012**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-გერმანია | 52:54 |
| სერბეთი-ჩერნოგორია | 91:73 |
| რუსეთი-ესტონეთი | 86:58 |
| საბერძნეთი-უკრაინა | 89:86 (ო) |
| თურქეთი-ესპანეთი | 60:79 |
| ლიტვა-შვედეთი | 80:71 |
| სლოვენია-იტალია | 81:68 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| **რამოსი**-კოროლიოვი | 6:3, 6:3 |
| ჟილი-**დიმიტროვი** | 3:6, 4:6 |
| მინარი-**ალმაგრო** | 6:1, 6:7, 4:6 |
| **ხიმენო ტრავერო**-ჯანეზი | 6:4, 6:3 |

**ATP. ნიუპორტი**

| | |
|---|---|
| ლევინე-**ჰარისონი** | 3:6, 4:6 |
| რაონიჩი-**ბეკერი** | 3:6, 3:6 |
| სელა-**ჰიუიტი** | 4:6, 3:6 |
| **რამი**-ნიშიკორი | 7:6, 6:3 |

**ATP. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| კამკე-**მონაკო** | 2:6, 3:6 |
| ტომიჩი-**ბელუჩი** | 6:7, 3:6 |
| ჰაასი-**ჩერვენაკი** | 4:6, 4:6 |
| შარდი-**შტებე** | 6:4, 6:7, 3:6 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| **ბერლოკი**-ტრუნჯელიტი | 7:6, 4:6, 6:1 |
| **ვერდასკო**-გულბისი | 6:2, 3:6, 6:1 |
| **კუზნეცოვი**-პავიჩი | 7:6, 6:1 |
| ფონინი-**დოლგოპოლოვი** | 2:6, 4:6 |

**WTA. პალერმო**

| | |
|---|---|
| **ბ. ზახვალოვა**-კოენი | 3:6, 6:3, 7:5 |
| **სურაეს ნავარო**-ტატიშვილი | 6:1, 3:2 უარი |
| **რობსონი**-ვინჩი | 6:3, 7:5 |

● TV პროგრამა

**13 ივლისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბაიერნი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერი-შალკე.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-კაენი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბოლტონი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. უდინეზე.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეინოორდი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-იუვენტუსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-დალასი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბარსელონა.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. როჯერ ფედერერი-ენდი მიურეი. ლონდონი. ინგლისი.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-დალასი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. მილანი-რეალი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
**19:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. შეჯამება.
**20:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პალერმო. იტალია (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 32 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 21 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 31 | (მზე) |
| გორი | 15 | 30 | (მზე) |
| თელავი | 18 | 30 | (ხვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 29 | (წვიმა) |
| ქობულეთი | 16 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 11 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 13 | 28 | (მზე) |
| მესტია | 10 | 23 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0316 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6541 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5748 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0387 |

# ოქროს საწმისი, ვეფხვის ტყავი და ლეგენდა ქართულ კალათბურთზე

**გაგიკვირდებათ, მაგრამ ლიტვაში ერთი სპორტული გამოცემაც არ არის. სპორტზე მხოლოდ პოლიტიკურ გაზეთებში იწერება. ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა იტალიასა და საბერძნეთში, სადაც სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს სათვალავი არა აქვს და ჟურნალისტები არა მხოლოდ მატჩებს აშუქებენ, მოთამაშეები ბოლომდე ჰყავთ შესწავლილი და მათ წარმოშობასაც იკვლევენ. მაგალითად, იტალიელმა ჟურნალისტმა კარლო პეროტიმ „ფეისბუქზე" დაწერა - მანუჩარ მარკოიშვილმა და გიორგი შერმადინმა იმდენად დამაინტერესეს საქართველოთი, რომ კავკასიის ამ ქვეყანაში აუცილებლად უნდა ჩავიდე და კარგად შევისწავლოო. ბატონ კარლოს მისმა იტალიელმა კოლეგა ალბერტო ფილიოლიამ დაასწრო და საქართველოს შესახებ ვრცელი პუბლიკაცია გამოაქვეყნა, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენს რუბრიკა „ტაიმლაინს" მოუხდება. ვიდრე ფილიოლიას ნაშრომის თარგმანს წაიკითხავდეთ, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბატონი ალბერტო იტალიაში ცნობილი პიროვნებაა, სპორტული ჟურნალისტიცაა, მწერალიცა და პოეტიც. მისი წიგნები აპენინებზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. „ჯადოსნური კალათი ალბერტო ფილიოლიასგან", - ასეთი სათაური აქვს პუბლიკაციას.**

„ყველა ქართველი პოეტია, ხოლო თითოეული ქართველი პოეტი ჭეშმარიტად პოეტია! საქართველოს გერბზე აწერია - „ძალა ერთობაშია". „ჯორჯიელები" საკუთარ სამშობლოს საქართველოს უწოდებენ. მათ ლათინურისგან განსხვავებული უძველესი ანბანი აქვთ. „ჯორჯია" ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს, რის გამოც მდიდარი და დრამატული ისტორია აქვს. გავიხსენოთ თუნდაც ოქროს საწმისი, რომელიც იაზონმა სწორედ საქართველოდან ჩაიტანა ელადაზე. „ჯორჯია" ლეგენდარული კოლხების სამშობლოა.

## ლეგენდა გუშინ და დღეს

...დიდი კალათბურთელების სამშობლოცაა. დღეს უკვე ლეგენდადაა ქცეული 1962 წლის ამბავი, როცა თბილისის „დინამომ" ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის რეალი 90:83 დაამარცხა. თუმცა ეს იყო საბჭოთა ერა და ქართველები სსრკ-ს სახელით გამოდიოდნენ (დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვეს). მაშინდელი





„დინამო" საბჭოეთში ყველასგან განსხვავებული გუნდი იყო. ამას კი რამდენიმე გვარი განაპირობებდა: **ალთაბაევი, ხაზარაძე, უგრეხელიძე, ლეჟავა, მინაშვილი, მოსეშვილი, ინწკირველი, სხიერელი, პეტროვი, გოგელია...**

ესენი ძველი დროის გმირები იყვნენ. ასეთები ჯორჯიელებს დღესაც ჰყავთ: **მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი შერმადინი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკა მეტრეველი...** მათ მთელ იტალიაში კარგად იცნობენ. ოთხივე ჩვენს ქვეყანაში ცდილობს „ჯორჯიის" დადებითი კუთხით წარმოჩენას. ისინი მართლაც გამორჩეულები არიან, უმთავრესად საკუთარი ორიგინალური ტექნიკით.

## პოლიგლოტი

მანუჩარი ბუნებრივი ტალანტია. იგი ძალიან ადრე, 16 წლისა ჩაირიცხა იტალიურ „ბენეტონში", ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიგო. იტალიიდან



დროებით გერმანიაში გადავიდა, საიდანაც სლოვენიასა და უკრაინას მიაშურა. 2009 წელს კი სერია A-ში დაბრუნდა. „კანტუ" იდეალური ადგილი აღმოჩნდა მისი ნიჭის სრულად გამოსავლენად. მარკოიშვილი მხოლოდ კალათბურთის თამაშისას როდია ყოჩაღი, იგი თანამემამულე **ნინა ყაუხჩიშვილის** მსგავსად პოლიგლოტიცაა: ქართულის გარდა იცის ინგლისური, იტალიური, გერმანული, სლოვენიური და რუსული.

ვინ იყო ნინა ყაუხჩიშვილი? - იტალიაში მეტად დაფასებული პიროვნება, რომელიც 1919 წელს საქართველოდან ბერლინში მოხვდა, სადაც მამამისი „გესტაპომ" დაიჭირა. ახალგაზრდა ქალმა გერმანიიდან იტალიაში გადმოინაცვლა და რუსული ენის პროფესორად ჩამოყალიბდა.

მომიტევეთ მცირე გადახვევისთვის. მანუჩარ მარკოიშვილს დავუბრუნდეთ. 196 სმ სიმაღლის უკანახაზელს მოედანზე ენერგია შეაქვს, ჩამოყალიბებული კალათბურთელია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს ავნოს როგორც ერთი-ერთზე თამაშისას, ასევე შორეული ტყორცნებით. მანუ აგრესიულია შეტევითი მოხსნებისას და საერთოდ, სოლიდური დამცველია. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის - მანუჩარი მოედნის გარეთაც დადებითი პიროვნებაა.

მამამისი მწვრთნელია და დღესაც დეტალურად არჩევს შვილის თამაშებს. საჭირო რჩევებსაც აძლევს. ვიდრე კალათბურთში შეაბიჯებდა მარკოიშვილი მოცეკვავე იყო. შესაძლოა, ამიტომაც აქვს სწრაფი მოძრაობა, ამიტომაც გადაადგილდება მოედანზე მსუბუქად.

გზად იმასაც მოგახსენებთ, რომ მანუჩარს სხვა ტიტულებთან ერთად საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ოქროს მედალი („ბასკოსთან" ერთად მოიგო) და ფიბა-ევროპის თასის ოქრო აქვს.

## რისოტო

მანუჩარ მარკოიშვილის გვერდით „კანტუს" მშენებლობაში გიორგი შერმადინმაც დიდი წვლილი შეიტანა. სხვათა შორის, წმინდა გიორგი ქართველთა მფარველი წმინდანია.



შერმადინი თბილისთან ახლოს, მცხეთაში (უფრო ზუსტად, იგი ნატახტარელია - ვ.ს.) 1989 წელს დაიბადა. მას 216 სმ სიმაღლის კაცისთვის უჩვეულოდ „რბილი ხელი" აქვს. ასევე გასაკვირია მისი მობილურობა. ვერ ვიტყვით, რომ შერმადინი საშიშია, ამ ახალგაზრდა კაცს მისტერ ბინივით კეთილი სახე აქვს. გიორგის დაცვა შთამბეჭდავია - მისი ქოლგის ქვეშ არაერთი მეტოქე მოქცეულა და დაფარება დაფარებაზე უწნევია. როგორც უკვე დავწერე, ახალგაზრდა ქართველ ცენტრს კარგი ტყორცნა აქვს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია საჯარიმოების რეალიზების მაჩვენებელი - 85.9% (2011-12 წლების სეზონში). საქართველოს ჩემპიონატში იგი საშუალოდ 35.1 ქულას, 16.4 მოხსნას, 4.7 პასსა და 2.6 ჩაჭრას აგროვებდა. მას სამშობლოში 89 ქულაც ჩაუგდია...

გიორგი ახლა შედარებით გამოცდილია (ჰყავს გოგონა), მის ყულაბაში ევროლიგის ოქროა („პანათინაიკოსში" თამაშისას მიიღო). ახალი სეზონიდან იგი თელ-ავივის „მაქაბისთან" ერთად ეცდება მწვერვალების დაპყრობას. შერმადინს იტალიასთან თბილი მოგონებები აკავშირებს, შესაძლოა, ბევრი რამ არც მოენატროს გარდა რისოტოსი (რას ნიშნავს „რისოტო", ამაზე თავად შერმადინი ამავე გვერდზე მოგვახსენებს - ვ.ს.).





## ნახტომი ყაზბეგისკენ

Air Georgia, ასეთი მეტსახელი აქვს ქართველს, რომელსაც ნახტომში შეუძლია მისწვდეს ყაზბეგს, 5048 მეტრის სიმაღლის მწვერვალს, რომლის ქვემოთაც ლამაზად მოსჩანს გერგეთის ეკლესია. ვიქტორ სანიკიძე „მფრინავ ადამიანადაა" ცნობილი, 203 სმ სიმაღლის კალათბურთელი სუპერ-მომხსნელია და შეუძლია მეტოქეთა პერიმეტრიდან შეწუხება.

ვიდრე ვირტუსელი გახდებოდა, ვიქტორი არ დაფიქრებულა ილბლის საქართველოს ფარგლებს გარეთ საძიებლად. ჯერ ნიუ იორკის „გლობ კოლეჯში" გამოდიოდა, შემდეგ ფრანგულ „დიჟონში", ესპანეთის „ესტუდიანტესში", ესტონეთის „ტარტუ როკში". 2004 წელს სანიკიძე ამერიკულ დრაფტზე „ატლანტამ" აირჩია და „სან ანტონიოს" დაუთმო. 2009 წელს ისევე როგორც მარკოიშვილი, სანიკიძეც იტალიაში გადმოვიდა. მან თავიდანვე აუღო ალღო იტალიურ კალათბურთს, ისევე როგორც ხირცის სოუსიან ტალიატელას (თუმცა, როგორც ყველა ქართველს, ხინკალი სანიკიძესაც ძალიან ეყვარება)... გასულ სეზონში „კანტუ"-"ვირტუსის"

თამაშებისას მოედანზე ერთდროულად სამი ქართველი იყო. მშვენიერი მაჩვენებელია ქვეყნისთვის, რომელშიც 5 მილიონამდე მცხოვრებია. მატჩისას დარბაზში უამრავი ხუთჯვრიანი დროშის ხილვა შეიძლებოდა.

## კოსმოპოლიტი

კიდევ ერთი კარგად ნაცნობი ქართველი **ნიკოლოზ ცქიტიშვილია**, რომელიც 2002 წელს „ბენეტონში" ასპარეზობდა, ხოლო



2008 წელს - „ტერამოში". იგი ნამდვილი კოსმოპოლიტია, ვინ მოსთვლის, სად უთამაშია: „სოხუმში", „სლოვანში", „დენვერში", „გოლდენ სტეიტში", „მინესოტაში", „ფინიქსში", „კახაოლში", „ფუენლაბრადაში", „პანიონიოსში", „სან სებასტიანში", „მაჰრამში"...

## პოტენციალი

არ უნდა დაგვავიწყდეს ნიკა მეტრეველი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდული ჩემპიონატებიდან გვახსოვს. თუმცა გამოდიოდა „რიმინიში", „ფერენტინოში", „მონტეპასკისა" და „დინამო სასარიში". 212 სმ სიმაღლის ახალგაზრდის პოტენციალზე არაერთი მწვრთნელი ლაპარაკობს.

## დაბოლოს

ძალა ერთობაშია, ყველა ერთისთვის და ერთი ყველასათვის... დღეს ქართველი „მუშკეტრების" იარაღი ბურთია. სწორედ მათ უნდა გაგვაცნონ აღმოსავლური ქვეყანა, რომელსაც ეკუთვნის მე-12 საუკუნის ნაწარმოები სახელწოდებით „რაინდი ვეფხის ტყავით" (ჩვენებურად „ვეფხისტყაოსანი").

...მომავალ ხაჭაპურამდე."





## განმარტება



ალბერტო ფილიოლიას ნაშრომის კითხვისას დაგაინტერესდებოდათ, რას ნიშნავს სიტყვა „ტალიატელა". ესაა სპაგეტის ნაირსახეობა (ინტერნეტში გემრიელად გამოიყურებოდა). „რისოტოს" მნიშვნელობა კი გიორგი შერმადინს ვკითხეთ.

*- „კანტუს" დარბაზის ერთ-ერთ ოთახში იდო წიგნაკი, რომელშიც თითოეულ კალათბურთელს შეეძლო ჩაეწერა რა მოსწონდა და რა - არა. მასში მეც ჩავწერე საკუთარი დადებითი შთაბეჭდილებები. დავაფიქსირე - რისოტო მიყვარს-მეთქი. ესაა ბრინჯი საქონლის ხორცით. ნამდვილად გემრიელია. შესაძლოა, იტალიელ ჟურნალისტს ხელი ზემოთ ნახსენებ წიგნზე მიუწვდებოდა და ამიტომაც აღნიშნა - შერმადინს რისოტო მონატრებაო,* - გვითხრა გიორგიმ.

რადგან კერძებზე ვლაპარაკობთ, აქვე ერთ შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც კინაღამ „მწარე კურიოზად" იქცა. ორშაბათს საქართველოს ნაკრების ვარჯიშის რეპორტაჟი დავწერე. სხვა კალათბურთელებთან ერთად გიორგი შერმადინსაც ველაპარაკე...

დიდი ხანია, მელნიანი ბატის ბუმბული გადავაგდე და კლავიატურაზე ვწერ, სადაც „მ" და „ნ" ღილაკები ერთმანეთის გვერდითაა. გიორგი შერმადინის კომენტარის წერისას „ნ"-ს ნაცვლად „მ"-ზე მომიხვდა ხელი და აი რა გამოვიდა:

*- ვიმედოვნებ, რომ ოფიციალური შეხვედრებისას სათამადო ფორმაში ვიქნები.*

ბედად, კორექტურული შეცდომა მალევე შევნიშნე და გაზეთში შეცდომა არ გაპარულა:

*- ვიმედოვნებ, რომ ოფიციალური შეხვედრებისას სათანადო ფორმაში ვიქნები.*

ეს ამბავი გიორგისაც მოვუთხრე. ღიმილით თქვა:

*- ჯერ კალათბურთელი ვარ, თამადობა მერე იყოსო.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608